# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 8 ნოემბერი. 2018 წ. №225 (8626) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# ქართველმა ხალხმა სიცოცხლის ფასად ალკვეთა მანიაკალური ხელისუფლების პარპაში!



## ღირსების ხმა დედაქალაქიდან



**რუსთაველის თეატრში საზოგადოების ნაწილი 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების გასაპროტესტებლად შეიკრიბა.** შეკრებაზე „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ლიდერებიც იმყოფებოდნენ. მათ შორის საკრებულოს დეპუტატები.

დარბაზში მყოფებს სიტყვით პოეტმა დავით მაღრაძემ მიმართა. მან საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებზე ისაუბრა.

**„საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებში ღირსების ხმა გაისმა. გულგატეხილი ხალხი, არ მოვიდა. ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენს მმართველ პარტიაში ჩათვალეს – ხალხმა საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის რისკის ფასად აღკვეთა მანიაკალური ხელისუფლების პარპაში საქართველოში და როგორც მაშინ ბიძინა ივანიშვილმა დაუჭირა მხარი ჩვენს მოძრაობას, კიდევ გავიმეორებ, რომ ჩვენთვის ბრძოლა ივანიშვილს არ უსწავლებია – ბრძოლა ჩვენმა ღირსებამ გვასწავლა. ეს არ იყო ერთი კაცის გარშემო შექმნილი გაერთიანება, ეს იყო მოსახლეობის ხმა, პროტესტი ძალადობისა და უმსგავსობის მიმართ, რომელსაც შემოუერთდა ივანიშვილი. ახლა კი ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და შემოუერთდეს ჩვენს გულისთქმას. კეთილი ინებეთ და შემოგვიერთდით, ჩვენში კი ნუ ეძებთ მხარდამჭერებს, თქვენ უნდა გახდეთ ჩვენი მხარდამჭერები“,** – განაცხადა მაღრაძემ.

## „მე ვიცავ თავისუფლებას!!!“

გუშინ რუსთაველის გამზირზე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობას აპროტესტებდნენ.

**„მე ვიცავ თავისუფლებას“, – ამ სახელწოდებით საზოგადოებამ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა გააპროტესტა. მათი თქმით, დაუშვებელია „ნაციონალური მოძრაბის“ ხელისუფლებაში დაბრუნება და „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ უნდა აიკრძალოს ქვეყანაში.**

აქციის მონაწილეებმა მოუწოდეს მოსახლეობას, არჩევნების მეორე ტურში მხარი დაუჭირონ სალომე ზურაბიშვილს.


შოთა ზოიძე:



განსჯა სჯობს განუსჯელობას! 4

8 ნოემბერი – ილიას დღე

შენ როსღა აყვავდები?



3

ბერი გიორგი (რუხაძე):

გადამთიელნიც ისტორიას შეგვახსენებენ 6



საეკლესიო განხეთქილების ჩიხიდან გამოსავალი გზა ვიწროვდება!


## დღის მოწოდება

### მეტი და მეტი ყურადღება ხალხის გულისხმას!

… ავად ვის მოუბრუნდება ენა, დაზღვევის იმ ნაწილზე, რომ თითქმის ყველა და ყოველგვარი ოპერაცია ძირითადად ფინანსდება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მძიმედ დაავადებულ პაციენტებს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ როცა ამდენ ხარჯს ეწევა სახელმწიფო, ნუთუ შეუძლებელია, რომ ამ დაზღვევის დაფინანსების ნაწილად იქცეს ანალიზების დაფინანსებაც, რაც აშკარას გახდის ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვის სრულყოფილებას და ბევრად გაზრდის ადამიანების მადლიერების ხარისხს. ასევე, რასაკვირველია, ურიგო არ იქნება წელიწადში ორჯერ ადამიანების დაფინანსებული დისპანსერიზაციის უთუოდ კარგი ტრადიციის აღდგენა. იმედია, ჩვენს გარკვეულწილად შეჭირვებულ მოსახლეობას ხელისუფლების მხრიდან დაზღვევის ეს ფრიად შეღავათიანი ნაწილიც საოცნებოდ არ გაუხდება.

## 100 წლის გაზეთი
### თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).




## 7 ნოემბერს „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი სასტიკი სახით წარსდგა საზოგადოების წინაშე და ეს არის ის სახე, რომლითაც დღემდე მოდის

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებზე საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ 11 წლის წინ, ხალხი დემოკრატიისთვის იბრძოდა და ეს ბრძოლა 2012 წელს დაგვირგვინდა.

**„7 ნოემბერი არის დღე, რომელიც ყველას კარგად გვახსოვს. ეს არის დღე, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი სასტიკი სახით წარსდგა საზოგადოების წინაშე. ეს არის ის სახე, რომლითაც დღემდე მოდის, სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“. მაშინ ხალხი იბრძოდა დემოკრატიისთვის და ეს ბრძოლა დაგვირგვინდა 2012 წელს, როდესაც განხორციელდა ნამდვილი დემოკრატიული გარდატეხა და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ეს მიღწევა, შევინარჩუნოთ თავისუფლება და დემოკრატია, რომელიც არის სწორედ ამ ბრძოლით მოპოვებული შედეგი“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

## „ქართულ ოცნებაში“ ფუნდამენტური საკადრო ცვლილებები ამ ეტაპზე არ იგეგმება

ირაკლი კობახიძის თქმით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიას მომზადება სჭირდება, რათა ამომრჩევლის წინაშე სათანადო სიით წარდგეს.

**„არავითარი ფუნდამენტური საკადრო ცვლილებები ამ ეტაპზე არ იგეგმება, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება კადრების გადახალისება. 2020 წელს ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები. მანამდე ჩვენ გვჭირდება მომზადება იმისათვის, რომ სათანადო სიით წარვდგეთ ამომრჩევლის წინაშე“,** — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

კითხვაზე — შესაძლოა თუ არა, პარტიაში დაბრუნდნენ ძველი სახეები, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა განაცხადა, რომ მთავარია, კადრები ობიექტურად შეირჩნენ და აქ გათვალისწინებული იქნება ყველა შესაბამისი კრიტერიუმი.

**„ჩვენთვის მთავარია, რომ შეირჩნენ კადრები ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად და აქ იქნება გათვალისწინებული ყველა შესაბამისი კრიტერიუმი, მათ შორის, რა თქმა უნდა, დამსახურება პარტიის წინაშე იმ ბრძოლაში, რომელიც გამოვიარეთ ჩვენ, მათ შორის 2012 წელს“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## ირაკლი ღარიბაშვილი ნიჭიერი და ენერგიული ადამიანია...

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმის გია ვოლსკის განაცხადებით ირაკლი ღარიბაშვილი და ბევრი სხვა იქნება იმ ჯარისკაცად, როგორც ყოველთვის მოიაზრებოდნენ „ქართულ ოცნებაში“.

**„ირაკლი ღარიბაშვილს ვაფასებ. ის არის ჩემი მეგობარი, ნიჭიერი და ენერგიული ადამიანი, თუკი ჩაერთვება, რატომაც არა. მოლაპარაკება არავის სჭირდება, ჩვენი თანაგუნდელები არიან. ცვლილებებსა და საკადრო გადაადგილებებს ადგილი არა აქვს. თუ სადმე ცვლილებები იქნება საჭირო, შეიცვლება. ირაკლი ღარიბაშვილი და ბევრი სხვა იქნება იმ ჯარისკაცად, როგორც ყოველთვის მოიაზრებოდნენ „ქართულ ოცნებაში“,** — განაცხადა გია ვოლსკიმ.

## 2007 წლის 7 ნოემბერს ჩვენ შეცდომა დავუშვით, ბოდიში!..

**ყველაფერს მოეძებნება ახსნა, ყველაფერს აქვს თავის წინაპირობები, მაგრამ 2007 წლის 7 ნოემბერს ჩვენ შეცდომა დავუშვით, ბოდიში,** — ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგი უგულავა 7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, ამ თემაზე მიმდინარე სასამართლო პროცესი არის ფარსი, პროპაგანდა და ჩვეულებრივი შურისძიების ნაწილი, რაც სამწუხაროა.

**„2018 წლის 7 ნოემბერს ამით ვინც არჩევნების მოგებას აპირებს, მწარედ ცდება და არის პოლიტიკურად ბეცი“,** — წერს Facebook-ის საკუთარ გვერდზე გიგი უგულავა.

## საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა სინგაპურთან

**სინგაპურში ვიზიტით მყოფი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია სინგაპურის საზღვაო და საპორტო ხელისუფლების მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ენდრიუ ტანს შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და სინგაპურის საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები. ყურადღება გამახვილდა საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ ორმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმების გაფორმების მნიშვნელობაზე. შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით უკვე დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები, რომლის შემდეგაც დოკუმენტი დიპლომატიური არხებით გაეგზავნა სინგაპურის მხარეს.

მხარეებმა ასევე განიხილეს თანამშრომლობა საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ურთიერთგაცვლისა და ერთობლივი პროგრამების მომზადების მიზნით. ასევე ყურადღება გამახვილდა საქართველოს საზღვაო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის MPA აკადემიაში სპეციალური სწავლებების გავლის შესაძლებლობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია ასევე ეწვია სინგაპურის ნავსადგურის კონტროლის ცენტრს, სადაც ნავსადგურის საქმიანობისა და ახალ ტენდენციებს გაეცნო.



## იპოდრომთან მდებარე ე.წ. ჩოგბურთის კორტები ქალაქს დაუბრუნდება



**იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც წლების წინ ე.წ. ჩოგბურთის კორტები არსებობდა, ქალაქს დაუბრუნდება,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

კახა კალაძის თქმით, აღნიშნული ტერიტორია წინა ხელისუფლების დროს, უცხოურ სამშენებლო კომპანიაზე განაშენიანების მიზნით გაიყიდა.

**„ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დანაშაულებრივი ურბანული პოლიტიკის ერთ-ერთ მორიგ მსხვერპლზე მინდა, გიამბოთ. ეს არის მიწის ნაკვეთი იპოდრომის მიმდებარედ, საბურთალოსა და ბახტრიონის ქუჩებს შორის — ე.წ. ჩოგბურთის კორტების ტერიტორია. ეს საკითხი ძალიან მტკივნეულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ზოგადად, ეს ადგილი ყოველთვის იყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, სადაც ბევრი თბილისელი დადიოდა. სამწუხაროდ, 2009 წელს ტერიტორია უცხოურ სამშენებლო კომპანიაზე გაიყიდა, რომელმაც აღნიშნული მიწა განაშენიანების მიზნით შეიძინა. ჩვენ, რა თქმა უნდა, განვითარების, წინსვლისა და მშენებლობის წინააღმდეგი არ ვართ, თუმცა არსებობს ისეთი ადგილები, რომელიც ჩვენი ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. არსებობს სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები, სკვერები, პარკები და სხვა ტერიტორიები, სადაც პირადად ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის, რაიმე სახის მშენებლობების განხორციელება კატეგორიულად მიუღებელია“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება, სადაც საჩოგბურთო მოედანი მოეწყობა. ასევე, შესაძლებელია სპორტული კომპლექსის მშენებლობაც.

## 220 ახალი ავტობუსის შესასყიდად ტენდერი გამოცხადდა

თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ 220 ერთეული ახალი, 8-მეტრიანი, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსის შესასყიდად ტენდერი გამოაცხადა.

**„ახალი ავტობუსების შემოყვანა მომავალი წლიდან დაიწყება. ტენდერი უახლოეს დღეებში დასრულდება და გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება. ასევე, 2019 წელს ვაპირებთ, 150 ერთეული, გაზზე მომუშავე ახალი ავტობუსის შემოყვანას, 90 ერთეული კი ელექტროავტობუსი იქნება. მომდევნო წლების განმავლობაში, დამატებით, ახალი ელექტროავტობუსების შემოყვანა ეტაპობრივად დაიწყება. ჩვენთვის პრიორიტეტულია სატრანსპორტო პოლიტიკა, რომლის მთავარი გზავნილია — „მეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ნაკლები ავტომანქანა ქალაქში“. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა მდგომარეობაა ქალაქში ეკოლოგიის, ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება კი არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რა თქმა უნდა, არის სხვა პრობლემებიც, თუმცა ყველაფერს ვაკეთებთ და ძალიან მალე, ეკოლოგიურ მდგომარეობას რადიკალურად შევცვლით“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

## თბილისის მერიის ცხელ ხაზს თანამშრომლები დაემატება

დედაქალაქის მერის თქმით, ცხელი ხაზის 42 ოპერატორის მეშვეობით გაწეული 24-საათიანი მომსახურების მიუხედავად, დღის განმავლობაში, 400-მდე ზარი რეაგირების გარეშე რჩება.

**„მერიის ცხელი ხაზი საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურებაა, რომლის ფარგლებშიც, დღის განმავლობაში, 42 ოპერატორის საშუალებით, დაახლოებით, 2500 ზარი ხორციელდება. მომსახურება 24-საათიანია. ცხელი ხაზი კვირის ყველა დღეს მუშაობს, თუმცა პირადად მე, მისი მუშაობის შესახებ ბევრი ადამიანისგან უკმაყოფილება მსმენია. ამიტომ, ვავალებ ირაკლი ხმალაძეს, რეფორმა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს. თუ დასამატებელია, დაამატეთ თანამშრომლები და დაატრენინგეთ, კვალიფიკაცია აუმაღლეთ, რომ არც ერთი ზარი არ დარჩეს პასუხგაუცემელი. დღეის მდგომარეობით, რეაგირების გარეშე 400-მდე ზარი რჩება. ეს მიდგომა და დამოკიდებულება ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. შესაბამისად, ეს საკითხი ძალიან მალე უნდა მოწესრიგდეს“,** — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

# „დოიჩე ველესთან“ ინტერვიუში ვაშაძემ ღიად დააანონსა უშუალო მწამებლების უპირობო შეწყალება

**მან პრაქტიკულად ჩვენება მისცა „დოიჩე ველეს“ და კვლავ ღიად დააანონსა, ძალადობრივი რეჟიმის არქიტექტორების და უშუალო მწამებლების უპირობო შეწყალება,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ განაცხადა.

„დოიჩე ველესთან“ ინტერვიუთი გრიგოლ ვაშაძემ დაასრულა ნაციონალური მოძრაობის ერთკვირიანი მასკარადი ვითომდა მათ კონსტრუქციულ გეგმებზე. მან პრაქტიკულად ჩვენება მისცა „დოიჩე ველეს“ და კვლავ ღიად დააანონსა, ძალადობრივი რეჟიმის არქიტექტორების და უშუალო მწამებლების უპირობო შეწყალება.

**ჩვენ გვაქვს არაორდინარული სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი, არა ქვეყნის განვითარებას, არა საკუთარი კონსტიტუციური მოვალეობის პირნათლად შესრულებას, არამედ ასი ათასი კაცის გამოყვანას და ქვეყანაში არეულობას დაწყებას გვპირდება.**

**ყველასათვის ნათელია, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთადერთი მიზანი, ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა და ქართველ ხალხზე შურისძიებაა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ვაშაძემ საკუთარ ინტერვიუში.**

**დარწმუნებულები ვართ, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ გასცემს საკადრის პასუხს 7 ნოემბრის ძალადობრივი რეჟიმის შემოქმედებს.**

**სწორედ ჩვენი პოლიტიკური გუნდი, ქართველ ხალხთან ერთად არის და იქნება იმის გარანტი, რომ საქართველოში აღარასდროს განხორციელდება ნაციონალური მოძრაობის რევანშისტული, რევოლუციური ზრახვები და არავის მივცემთ კანონის ჩარჩოებიდან გასვლის უფლებას.**

**ამის პირობას ვაძლევთ თითოეულ მოქალაქეს“,** — განაცხადა კალაძემ.

# შენ როსღა აყვავდები?



ჩემი ბავშვობის ყველაზე მკაფიო და ნათელი შთაბეჭდილება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან შეხებისა, მისი პატარა, საახალწლო მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ იყო. მოთხრობა, რომელიც ყრმა ილიას სახლში გაჩაღებული საახალწლო სამზადისის დაუვიწყარი სურათის, დედ-მამის ფუსფუსისა და და-ძმის ჟრიამულის აღწერით იწყება, მასწავლებელმა სწორედ საახალწლოდ მოგვცა დასასწავლად. შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენი ოჯახიც იმ დღეს ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა, მოთხრობა საოცრად მშობლიური მეჩვენა და მას შემდეგ ჩემთვის სამუდამოდ ასეთად დარჩა. გარეთ თოვდა. იმოდენა ფანტელებს მერე მე აღარ მინახავს. დიდ ოთახში მამა მაგიდას შლიდა. დებს ნაძვის ხეს რთავდნენ. სამზარეულოში დედა საახალწლო ტკბილეულს ამზადებდა. შორიახლოს ჩამოვჯექი და ყურებამდე ჩავეფლე კითხვაში. რომ არ შემხმიანებოდნენ, ალბათ, ახალი წლის დადგომაც გამომეპარებოდა.

ზღაპრებს იმთავითვე ნამყოებით ამბებს ვარჩევდი და ამიტომ თვითონ ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ვაჟკაცობის ამბავი, ტახტზე მჯდარი მამა გარს შემოსხმულ პატარებს ზღაპრად რომ უამბობს, უტყუარ სინამდვილედ ჩავთვალე. მაშინვე ზეპირად დავისწავლე მოთხრობის დასასრული, და დღეს, როცა ამას ვწერ, წიგნში ჩახედვა, მხოლოდ სასვენი ნიშნების აღსადგენად მჭირდება: „მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენდაცხენ ეცა, წასწვდა, ერთიორი ღონივრად შეჰბღერტა და ცხენიდამ ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდამ გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა: — ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და გზა მშვიდობისა მოგცესო. — მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა.“

რა მოკლე, მოსხლეტილი გამოთქმებია და რამდენი რამის დამტევი. აქ გამარჯვებული და მეტოქისთვის სიცოცხლის მჩუქებელი ქართველი ვაჟკაცის გვერდით მოჩანს დამარცხებული სპარსელიც, რომელიც ღირსეულად მიიღებს გოსტაშაბიშვილის დიდსულოვან წყალობას.

მოთხრობას საახალწლო კი ჰქვია, მაგრამ შიგ ბედნიერი სიცოცხლის გვერდით სიკვდილიც ტრიალებს. მე კი მაშინ არ ვიცოდი რა იყო სიკვდილი. ყიზილბაშის მიერ პირდაპირ შერკინებაში მოკლული ხუთი ქართველი დამენანა. აი, ილიას მიერ ნაამბობი მშობლებისა და და-ძმის დახოცვის ამბავი კი ახლოს არ გავიკარე. ქვეცნობიერად თუ შემეშინდა. ახლა კი, როდესაც ხანი გამოხდა და წუთისოფლის სარეჯგველაში გამოვლილს მამა უკვე აღარა მყავს, ოი, როგორ შვებად მეღვრება, ოი, როგორ სალბუნივით მეფინება დათუთქულ სულზე სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობის მღაღადებელი ეს განსაცვიფრებელად მშობლიური სიტყვები: „მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გარდამეცვალა ერთი დაცა. დავრჩით ამ ქვეყნიერებაზედ მარტო ორნი და-ძმანი. ეხლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭაღარა გვირევია, და როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებს შორის, ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშურის სიხარულითა დედას, მამას, მესმის ტრედივით ღუღუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედიჩემისა, მამიჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საც ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ ჰმარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ესე იგი, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში აღარ მომიბრუნდება. წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირ ტკივილისა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავსავით აგრილებს გულის წვასა და ცრემლი ჰნამავს გადამჭკნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღაცამა სთქვა: დატკბობა საამური ტკივილიაო, და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა“.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ქმნილებათა ანდამატს ყველა მკითხველი თავისებურად გრძნობს. მე კი ვიტყვი: მის გმირები სამუდამოდ დასახლდნენ ქართულ სამყაროში და თვითეული ჩვენგანის ცნობიერებაშიც თავის ადგილი დაიკავეს. ძნელია წინასწარ თქმა სად, რა დროს გაგვახსენებს ცხოვრება კაკო ყაჩაღს, ზაქროს, გაბროს, დათიკოს, თამროს, ლუარსაბს, დარეჯანს, ლამაზისეულს, გიორგის, არჩილს, კესოს, პეტრეს, ანდა დაუვიწყარ ოთარაანთ ქვრივს. რამდენ უდედოს, ალბათ, ოთარაანთ ქვრივში თავისი მშობელი დედა დაუნახავს. დედა და მერე რა დედა! სიმართლისთვის დღემუდამ შემართული, შვილზე დედა არწივივით გადაფოფრილი. მისი ნამდვილი ფარი და მცველი.

მე იმ აზრს ვუჭერ მხარს, რომ ოთარაანთ ქვრივის პირველსახე თვითონ ილია ჭავჭავაძეა. სიმართლის მისაღწევად ფეხზე რკინის ქალამნის ჩამცმელი პიროვნება. არავის რომ არ შეეპუება და არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს.

ილია ჭავჭავაძე ქართველისთვის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მწერალი, მაგრამ ჩვენ ამას მერე, თანდათან აღვიქვამთ, როცა მის ცხოვრებასა და ღვაწლს უფრო ფართოდ და ვრცლად ვეცნობით. როდესაც აღვიქვამთ თუ რა უსაშველო გაჭირვების ჟამს მოევლინა ქვეყანას დედის წიაღს მოკლებული, ობლად გაზრდილი ყვარლელი ბრძენკაცი. როგორ იმუშაკა სამშობლოსა და ხალხისთვის. როგორ იღვაწა საკაცობრიო, საზოგადო საქმისთვის. რა დაბრკოლებები გადალახა და რა მწვერვალები დალაშქრა.

მამული, ენა, სარწმუნოება! — მის მიერვე გამონაკვეთი მშობლიური სამება გაიხადა ილიამ ხატად და ქართველთა მომავალ თაობებსაც სალოცავად დაუტოვა. ერთ მთლიანობად ქცეული ამ სამი გაუხუნარი ცნების სამსახური დიდ მსხვერპლს მოითხოვდა და ილიაც დაუნანებლად გაიღებდა ხოლმე სისხლს მისთვის. რასაც მწერლობას დროს მოჰპარავდა, იმას ფულად საქმიანობას ამატებდა, რასაც ბანკს დააკლებდა — საგამომცემლო, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო და სახელმწიფო მოღვაწეობას უძღვნიდა. და ასე, ყოველგვარი მისი საქმიანობა თავს ბოლოს ერთ დიდ ეროვნულ ჭურჭელში იყრიდა, სადაც მისდარ თავდადებულ ქართველთაც შეჰქონდათ წვლილი. იმ ჭურჭლიდან ამოხაპული ნელსაცხებლით თავის დროზე მისი თანადროული საქართველო ინათლებოდა. ახლაც ინათლება და მომავალშიც გაინათლება.

მამული! ენა! სარწმუნოება! — აი, სამი ვეშაპი, რომელზეც იდგა და კვლავაც უნდა იდგეს საქართველო.

ამ დიად სამებას შეეწირა საბოლოოდ მსხვერპლად მისი მუხლჩაუხრელი მეციხოვნე.

ახალგაზრდობისას თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის ბაღში, ორ-სამჯერ დასავლური და აღმოსავლური წარმოშობის ქართველი მწერლების კამათს შევსწრებივარ. დასავლელები ამბობდნენ: დიდი მწერალი იყო ილია, მაგრამ მეტი დრო რომ დაეთმო მხატვრული სიტყვაკაზმულობისთვის, უფრო დიდი იქნებოდაო. აღმოსავლელები, პირიქით, აკაკის გაკენწლავდნენ: დიდი მგოსანი იყო, მაგრამ ცოტა მეტი რომ ეღვაწა ილიასავით, არ აწყენდაო.

რას იზამ, დასავლეთი და აღმოსავლეთი, შენი და ჩემი, აღარ გათავდა საქართველოში და არც არასოდეს გათავდება. კახელს სურს ილია იყოს პირველი მწერალი, იმერელს — აკაკი და გალაკტიონი, მთიელს — ვაჟა და ყაზბეგი, მეგრელს — კონსტანტინე გამსახურდია და შალვა დადიანი. ამაში ცუდი არაფერია, ვიდრე კახეთიც, იმერეთიც, სამეგრელოც, მთაც ერთობილი საქართველოა. ადამიანები საერთოდ მიდრეკილი არიან თავისიანის, საკუთარის განდიდებისკენ. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ თავისიანს, საკუთარს ყველაზე უკეთ იცნობენ.

თვითონ ილიას სიტყვებიც: სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახეო, ხომ იმას მეტყველებს, რომ ადრე მას საქართველოს ამ უძველეს კუთხეზე სხვა წარმოდგენა ჰქონდა.

როგორც კი აზრს ილიას მიერ საკუთრივ მწერლობისთვის ნაკლები დროის დათმობის შესახებ მიკერძოების საფენელს გამოვაცლით, ის წამსვე უსუსური და მორყეული გამოდგება.

„მგზავრის წერილების“, „აჩრდილის“, „სარჩობელაზედ“, „განდეგილის“, „გლახის ნაამბობის“, „ოთარაანთ ქვრივის“, „კაციაადამიანის“ შემქმნელზე ამის თქმა ნამდვილი მკრეხელობაა.

ილია ჭავჭავაძე იმდენად დიდი მწერალია, რამდენადაც დიდი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ეროვნების მწერალი.

მწერლის სიდიდე ნაწარმოებთა მნიშვნელობით განისაზღვრება და არა მათი რაოდენობით.

ილია ჭავჭავაძე დიდი მწერალია, უპირველეს ყოვლისა, როგორც ჩვენთვის, ქართველთათვის, სასიცოცხლო და საჭირბოროტო საკითხთა წამომჭრელი და განმსჯელი, მათზე მართალი, მხატვრული სიტყვის მთქმელი, ჩვენი ნაკლისა და მანკიერების გამომზეურებელი და ავთა სიმსივნეთა მოსაკვეთად ქირურგივით დანამომარჯვებული. ეროვნულ საქმეთა გულშემატკივარი და საზოგადოებისთვის სამოქმედო გზის დამსახველი და მაჩვენებელი. ამავე დროს ის პოემებში „აჩრდილი“ და „განდეგილი“ მისი ნიჭის საკადრისი სიღრმით და დაუნჯებით ჰფენს შუქს ზოგადკაცობრიულ სიბრძნისმეტყველურ საკითხებს. საერთოდ, წინ გაძღოლა და პირველკაცობა ილიას განგებამ დაანათლა. თითქმის ყველა თემა, რომელიც კი წამოწეულია მის მოთხრობებში, ილიამ პირველმა გაშალა მთელი კიდეგანით ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ამ თემებს მისი თანამედროვე სხვა მწერლებიც უტრიალებდნენ, მაგრამ ილიას ქმნილი ცაა, მათი კი დედამიწა.

ახლა ილიას ენა ავიღოთ, ასე ქართული, ეშხიანი და ძარღვიანი. მისი ენის ძალმოსილება გაზაფხულზე მთიდან მოვარდნილ, აღელვებულ ალაზანსა ჰგავს, მერე ველზე თანდათანობით დამცხრალს და დამდოვრებულს, მაგრამ ძლიერს, ტალღაზავთიანს, ტყლაშუნით მიმავალს, ბოლომდე რომ ვერ შელევია სათავის სიანკარეს და შეურყვნელობას. როგორც ალაზანი იერთებს იორს და უამრავ სხვა დიდ-პატარა შენაკადს და თავის მორევში იხვევს სამუდამოდ, ასევე შეიერთა ილიამ და თავისი მწერლობის გულისგულში ჩაიხვია ჩვენი ქართული ენის უამრავი მარგალიტი. თუ ქართულ ენას ზღვად წარმოვიდგენთ, მაშინ ილია მას ალაზნად უერთდება: მთის ხევხუვების წვენით და სიტკბოებით, სიმწარით, სიმკაცრით და სუსხით, ნაფოტით, ტოტით, მორით და ძირფესვიანად მოთხრილი ხეებით, დამსკდარი ყინულით და ნაპირს მოგლეჯილი ლილოჭრილოთი.

სიტყვას შაქარყინულივით დაატკბობდა, სადაც დასატკბობი იყო და მგორვალივით გააცხარებდა, როცა ამის საჭიროებას დაინახავდა. ჭინჭრის სუსხსაც გაურევდა და ბასრი ეკალივითაც წამახავდა. ქვეყნის მტრისადა ორგულისთვის ბევრჯერ სიტყვა მახვილივით გულშიც გაუწონია. მოკლედ, ილიას ენა ალაზნის შევადარე და ისიც უნდა დავსძინო, რომ ამ ალაზანში გაჰკრეს პირველი მხარული ილიას შემდგომმა ქართველმა მთხრობელებმა.

ძველთუძველესი, პირველფეროვანი და პირველსურნელოვანი, მშობლიური ქართული სამწერლო ენის განახლებისა და გათანამედროვების საქმეში ილიასა და აკაკის ლომთა წილი უძევთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი სამწერლო ენის ტაძრის შენება ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა წამოიწყეს საუკუნეების სიღრმეში ჩადუღაბებულ, მოურყეველ საძირკველზე და მერე მამითადთან ერთად ააგეს, ისე მკვრივად და ლაზათიანად, რომ სანამ თავად საქართველო და ქართველობა იარსებებს, მის მთლიანობას ვერაფერი დაემუქრება.

ცალკე საუბრის საგანია ილია ჭავჭავაძის ლექსი.

ილიას ლექსს დიდხანს აკაკისაზე დაბლა აყენებდნენ და ზოგიერთი დღესაც აყენებს.

არადა, ერთის განსადიდებლად სხვისი დამცრობა მეტად მცდარი ხერხია.

აკაკის ლექსის სიმაღლის წარმოსაჩენად, სულაც არ არის საჭირო ილიას ლექსის დამცრობა. აკაკი წერეთლის ლექსი მართლაც რომ ციური სილაღითაა ნიშანდებული, მაგრამ ილიას ლექსსაც თავისი განსაკუთრებული ღირსება და მიმზიდველობა გააჩნია. ეს არის მისი წინასწარმეტყველურობა, არსის განუზომელი მნიშვნელოვნება, მოუგერიებელი მომნუსხველობა. თუ ერთხელ იგრძენი მისი გაუჩარხავი პწკარების მშობლიური ხიბლი და ძალა, მერე მათი დავიწყება შეუძლებელია.

აი, ახალგაზრდა კაცი სამშობლოს ტოვებს და უცხოეთს განსასწავლად მიემგზავრება. განა შეიძლება მას არ გაახსენდეს ეს ტაეპები ილიას „ყვარლის მთებიდან“: **,,სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ შენს ხსოვნას მე ვერ მივცემ დავიწყებასა. თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული, თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული“.**

შეხვდები ცხოვრების გზაზე ქართველს, ვინც დამპყრობის სამსახურში ციბრუტივით ტრიალებს და გინდა შესძახო: **,,(ვსთქვი თუ) ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა? შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა?“ (იანიჩარი)..**

თუ ქალის სილამაზის, ქალური მშვენიერების, სიტურფის, მომხიბლაობის, თუ ტრფობის უმაღლესი რაობის გამომხატველ ტაეპებს დაუწყებ ძებნას, მაშინვე წინ ილიას სიტყვები გამოვლენ: **,,თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად, უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა თავის სიცხოვლის გამომსახველად.“** (განდეგილი).

განა ბოლომდე არ ახდა ის წინასწარმეტყველური ღაღადი, რითაც ილიამ ერთ დღეს ზეცისა და ერის წინაშე თავისი დანიშნულება განსაზღვრა? **,,მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა.“** (პოეტი).

**ენვერ ნიჟარაძე.**

თბილისი. სექტემბერი. 1987 წელი

**(გაგრძელება იქნება)**



# ურემი გადაბრუნდა...

## ეპისტოლე „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანს კახი კალაძეს

**ბატონო კახი, მე, შოთა ზოიძეს, ბატონი ბიძინასა და „ქართული ოცნების“ ორგულობაში ცილს ვერავინ დამწამებს. 11-13 ოქტომბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვწერდი — ბატონი ბიძინა ძმასავით მიყვარს-მეთქი. მის დასაცავად იმდენი და ისეთი მიწერია, მის დაწინაურებულ ჩინოვნიკებს არც დასიზმრებიათ. ბევრი მათგანი დაბეჭდილია ჩემი ორტომეულის II ტომში, რომელიც გამოგიგზავნეთ, მაგრამ მადლობაც არ შემოგითვლიათ. ამ წიგნში დაბეჭდილია სტატია „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები“, მე პირველმა გავაპროტესტე კარალეთში საარჩევნო შეხვედრის დროს თავს რომ დაგესხნენ. ნუთუ არ წაგიკითხავთ?**

თქვენს მიმართ შენიშვნები მაქვს, როგორც პარტიის გენერალურ მდივანთან: რატომ წამოაყენეთ და მხარი დაუჭირეთ ნაციონალ გიორგი ერმაკოვს ბათუმის მერის თანამდებობაზე? ბათუმელებმა ხმა არ მისცეს. მხოლოდ 17 პროცენტი მიიღო მეორე ტურის არჩევნებში. 2012 წელს რატომ დანიშნეთ მაღალ თანამდებობებზე ნაციონალები. ამ სტატიას სხვა დანიშნულება აქვს და ფაქტებს აღარ მოვიშველიებ. რატომ დანიშნეთ „ქართული ოცნების“ ბათუმის ოგანიზაციის ხელმძღვნალად ლ. ვარშალომიძის აპარატის ყოფილი მუშაკი, შემდეგ ალასანიას პარტიაში გადამხტარი ი.ჭეიშვილი? რატომ დანიშა ა.ხაბაძემ ნაცები ხულოს, ქედის, შუახევის რაიონების გამგებლებად, რომლებიც არჩევნებში ჩვენ გვებრძოდნენ? 2016 წლის არჩევნების დროს აჭარის უმაღლეს საბჭოში რატომ გაადეპუტატეთ ვარშალომიძის მთავრობის კადრები, დეპარტამენტის უფროსები და მინისტრების მოადგილეები და კიდევ უფრო მძიმე შეკითხვა: რატომ შეიყვანეთ „ქართული ოცნებიდან“ საქართველოს პარლამენტში ნაცმოძრაობის ორგზის ნადეპუტატარი ანზორ ბოლქვაძე??? გთხოვთ, გვიპასუხეთ, ეს ბატონი ბიძინას ზურგსუკან ხდებოდა თუ მასთან იყო შეთანხმებული? რატომ მიაყენეთ კედელთან 2012 წელს „ქართული ოცნების“ გულმხურვალე აქტივისტები? რატომ მიიღეთ კოალიციაში რესპუბლიკური პარტია, როცა ქართველი ხალხი დუღდა მის წინააღმდეგ?! თქვენი აქტივისტები ვეუბნებოდით ბატონ ბიძინას მურმან დუმბაძის მოღალატური გაიძვერობის შესახებ, მაგრამ არ სჯეროდა მანამ, სანამ პირადად მას არ დაესხა თავს?

რატომ და რის სანაცვლოდ ლობისტობდით ა.ხაბაძეს, რომელიც მამალი ნაციონალია და სააკოვის სპეცსამსახურების მიერ იყო შეგდებული „ქართუ ბანკში“, რომელმაც სრული ოთხი წელი აჭარაში ნაცების გათეთრებას მოახმარა?! კითხვების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ აქ ვსვამ წერტილს, რადგან მეორე ტურის დასრულების შემდეგ ვგეგმავ ბატონ ბიძინას გავუგზავნო ანალოგიური ეპისტოლე.

ბატონო კახი, არც თქვენ და არც ბატონ ბიძინას ჩემზე უკეთესი გულშემატკივარი და მხარდამჭერი არა გყავთ. მე მსხვერპლი მაქვს გაღებული სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, „ქართული ოცნებისა“ და ბატონი ბიძინას პრესტიჟის დასაცავად. მე რომ ნაცების მხარდამჭერი ვიყო, ნაცების რეჟიმი ხელისგულზე დამისვამდა. მათ ხელეწიფებათ მომხრეებისა და თანამებრძოლების დაცვა და დაფასება. მე, როცა ენერგიით სავსე ვიყავი და აკადემიური სამეცნიერო კვალიფიკაცია მაქვს, ა.აბაშიძის დროს 6 წელი მე და ჩემი მეუღლე უმუშევრები დავდიოდით. ნაცმოძრაობის რეჟიმმა ყველა ჩემი ნათესავი და ახლობელი გაყარა სამსახურებიდან, რაიონებშიც კი. ასე ვიცხოვრეთ 5-სულიანმა ოჯახმა 9 წელიწადს, უფულოდ, უპუროდ, ზოგს ხელის ჩამორთმევაც კი ეშინოდა. და აი, ა.ხაბაძემ უარეს დღეში ჩაგვყარა, ასრულებდა რა ნაცების ნებას, მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ბიძინამ ეს დაავალა, ახლოს არ გაგვიკარა.

მათ შორის არიან ხულოსა და ქედის 2012 წლის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარები, ა. მამულაძე, ზ.საგინაძე და დ. ანანიძე, რომლებსაც მ.დუმბაძემ და დ.საგანელიძემ მოგებული მანდატები პირწმინდად გაუყიდეს. მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ ღალატი გულში არ გამივლია. 2016 წლის არჩევნების დროს აჭარის ხელისუფლებას ვთხოვე, შევეყვანე საარჩევნო სიაში, უარით გამისტუმრეს, მაშინ როცა ოპოზიციური პარტიების აქტივისტები აღმოჩდნენ „ქართული ოცნების“ პროპორციულ სიაში. აჭარის პარლამენტში, ვიმეორებ, 4 ნაციონალია „ქართული ოცნებიდან“. ანდა, რად გინდათ პარლამენტში 42 მილიონერი? 2012 წელს არჩევნებში დამარცხებული ნაცები რატომ დაგვასვით თავზე?!

ბატონო კახი, ერმაკოვის საარჩევნო კამპანიის დროს, ბათუმში შეგხვდით. დარბაზში ჩემ გარდა, ყველა ნაციონალი იყო, ა.ხაბაძის ჩათვლით. მაშინ პირადად გთხოვეთ, არჩევნების დამთავრების შემდეგ თბილისში მიგეღეთ, არა პირადულ, არამედ აჭარაში არსებულ „ქართული ოცნების“ პრობლემებზე. მაშინ თქვენს თანაშემწეს, მგონი, გიორგი ერქვა, დაავალეთ, არჩევნების შემდეგ მოეწყოთ თქვენთან ჩემი შეხვედრა. არჩევნების შემდეგ დავურეკე ბატონ გიორგის, რომელმაც მიპასუხა — კალაძე მოქალაქეებს არ ღებულობსო, და ტელეფონი გათიშა. თუ ეს თქვენი ნების გარეშე მოხდა, რად გინდათ ასეთი ბრიყვი თანაშემწე? ვთვლი, რომ ამით თქვენ შეურაცხმყოფთ და არა — მე.

ბატონო კახი, აჭარის მაგალითზე ვიტყვი, რომ „ქართული ოცნების“ ორგანიზაციები ცუდად კი არა, საერთოდ არ მუშაობენ, აჭარაში ადგილობრივი ორგანოები გამოტენილია ნაცებით. ანუ სააკაშვილ-ვარშალომიძის კადრებით. ხაბაძე თუ ათავისუფლებდა მათ, უფრო მაღალ თანამდებობაზე ნიშნავდა. ბათუმის უნივერსიტეტში არარსებულ თანამდებობებს ხსნიდნენ მათთვის. ესეც ცალკე საუბრის თემაა. თუ თქვენი ნება იქნება, მზად ვარ, შეგხვდეთ და გესაუბროთ.

ბატონო კახი, დღეის გადასახედიდან შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. „ქართულმა ოცნებამ“ უაღრესად გონივრული და რადიკალური ზომები უნდა გაატაროს. მივესალმები ბატონი ბიძინას ამ გადაწყვეტილებას. თუ იქნება კეთილი ნება, მზად ვარ, უხელფასოდ სათავეში ჩავუდგე ბათუმის ორგანიზაციას. იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმი და აჭარა ხუთი თითივით ვიცი, 2019 წლის ბოლოს შევძლებ მობილური პარტიული ორგანიზაცია ჩაგაბაროთ, იმის გათვალისწინებით, რომ 5-ნომრიანი მაისურგადაცმული ჩანერგილი ნაცები „ქართულ ოცნებაში“ ადვილი გამოსაცნობია. ბათუმის ერთ-ერთ კონფერენციაზე, მე „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი, დარბაზში არ შემიშვეს, სიაში არ ხარო. ასეთ პირობებში და იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ მოგახსენეთ, დამარცხება არ უნდა გაგიკვირდეთ. არჩევნებზე ხალხის გამოსაყვანად მეორე ტურისათვის სახელისუფლო რესურსის გამოყენება და მუქარა არ შეიძლება. იძულებით გამოყვანილი ამომრჩეველი ხმას ოპოზიციას აძლევს. ეს არჩევნების ანაბანაა, რაც „ქართულ ოცნებაში“ ბევრმა არ იცის. არჩევნების მოსაგებად საჭიროა, დღეიდან დაიწყოს პარტიაში რადიკალური ცვლილებები, უნდა დაუბრუნოთ „ქართულ ოცნებას“, 2012 წლის გამარჯვების შემდეგ ა.ხაბაძის მიერ კედელთან მიყენებული გულანთებული მეოცნეები.

მე ახლა ორ ცეცხლში ვიწვი: შეცდომას შეცდომაზე უშვებთ: 2006 წლის ოქტომბრის ბოლოს სააკაშვილმა კანონში „დეპუტატთა კომპენსაციის შესახებ“ ცვლილება შეიტანა და აჭარა ამოაგდო. აჭარის ყოფილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კონპენსაციას ველარ იღებენ. ოთხი პრემიერი დაგვპირდა, მათ შორის ბატონი ბიძინაც, მაგრამ ვერაფერს გავხდით. გთხოვთ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ეს საკითხი გადაწყვიტოთ. ყოფილი დეპუტატები ავტორიტეტული ხალხია და შეუძლიათ გავლენის მოხდენა არჩევნების შედეგებზე. გთხოვთ, ამ საკითხზეც იმსჯელოთ პოლიტსაბჭოზე. ვინ და რატომ გვართმევს კონსტიტუციით მონიჭებულ სიკეთეს? გთხოვთ, აქვე ბათუმს აღუდგინოთ სააკაშვილის მიერ წართმეული დედაქალაქის სტატუსი. კიდევ ერთი: იმერეთის გუბერნატორს ოთხი მოადგილე ჰყავს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს არც ერთი. ამის შესახებ მივწერე პრემიერ კვირიკაშვილს. შენც ნუ მომიკვდები. პრესაში გამოქვეყნებული პრობლემები პოლიტსაბჭოშიც და მთავრობის სხდომებზეც უნდა იხილებოდეს. აჭარის ა.რ. ერთი ადგილი ეკუთვნის ცენტრალურ მთავრობაში. თუ აჭარელი არ გინდათ მინისტრად, მაშინ, ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე შეიყვანეთ საქართველოს მთავრობის წევრად. თუ ამ საკითხებს მოაგვარებთ, გპირდებით, აჭარაში საპარლამენტო არჩევნების გარანტი მე ვიქნები. არ გივარგათ საკადრო პოლიტიკაც. როცა აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი გყავთ, განათლების მინისტრად მარგველაშვილს, სანიკიძეს, ჯეჯელავას, ჩხენკელს არ უნდა ნიშნავდეთ. და კიდევ: პენსიის 20 ლარით გაზრდა ინფლაციის პირობებში სასაცილოა. სასწრაფოდ მისაღებია გადაწყვეტილება, პენსია განისაზღვროს 100 დოლარის ეკვივალენტით. 800 ათასი პენსიონერის ხმა უდრის არჩევნების მოგებას. რატომ არ ფიქრობთ ამაზე? სასწრაფოდ მისაღებია ლუსტრაციის კანონი. „ერთსულოვნების“ გარდა ყველა ტელეარხი ნაცებზე მუშაობს. აჭარის ტელევიზია „რუსთავი-2“-ის ფილიალია. მეტი ნდობა უნდა გამოუცხადოთ აჭარელ კადრებს.

ბატონო კახა, თქვენ ნაცებს ელოლიავებით. კიდევ მეტიც, თქვენ დაშორდით ქართველ მეცნიერებს და კულტურის მოღვაწეებს. ხელისუფლება და მმართველი პარტია უშვებდა და უშვებს სტრატეგიულ შეცდომას: ყოველი დიდი თუ პატარა მოვლენის დროს, აჟღურტულდებიან, თუ რას იტყვიან უცხოეთში, რას იტყვიან უცხოელი ექსპერტები და პარტნიორები. ხოლო არავის ადარდებს, თუ რას ამბობს და რას იტყვის ქართველი ხალხი. უცხოელ ექსპერტებს და პარტნიორებს ჩვენი არჩევნები ფეხებზედაც არ ჰკიდიათ. რატომ ვიტყუებთ თავს? მე ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ სერგო თეთრაძის წამების მხილველი თუ კიდევ ნაცმოძრაობას მისცემდა ხმას. ახლახან სააკაშვილ-ალასანიას საქართველო შეურაცხმყოფელი საუბარი გვაჩვენეს. წნევამ ამიწია. ნაძირალები დედას გვაგინებენ და ჩვენ მათ ხმას ვაძლევთ. ეჭვი შემეპარა, მართლა ხომ არ დაავადდა ჩვენი ხალხი?!

ერთ-ერთი საღამოს გამოშვებაში, პირველ არხზე თქვენმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამომრჩევლებს სრული თავისუფლება მივეცითო. რას ნიშნავს ეს? არჩევნებში სრულ თავისუფლებას კონსტიტუცია გვაძლევს და არა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. ბატონო კახა, წინ ვატერლოოა. მოკლე დროში რთულია შედეგების შეცვლა, ადვილი არ არის. დრო ნაცების სასარგებლოდ მუშაობს. საჭიროა რეგიონული ჩინოვნიკების „ქართული ოცნების“ აქტივისტებით ჩანაცვლება. მარტო პარტიული წმენდა არ კმარა. საჭიროა რადიკალური ცვლილებები საკადრო პოლიტიკაში. თინეიჯერების დაწინაურება სააკაშვილის რეჟიმის გადმონაშთია. ძველად 60 წლის ქვემოთ, რეგისტაციაში არ ატარებდნენ. ჩვენ კი ცხვირმოუხოცავი სააკოვი გავაპრეზიდენტეთ. ხალხი ხედავს და იცის, ვინ არის ეროვნული სულის მატარებელი და ვინ არის ნაციონალი.

**რწმენით, იმედით,**
**პატივისცემით**
**შოთა ზოიძე,**
**მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**
**ქ. ბათუმი**



# ბათუმის ბულვარში გზამკვლევი საინფორმაციო რუკები განახლდა



**საინფორმაციო რუკაზე ბათუმის ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტები და ბულვარის ღირსშესანიშნაობებია წარმოდგენილი, რაც ვიზიტორებს საშუალებას მისცემს, მარტივად შეძლონ გადაადგილება და მიიღონ ინფორმაცია მათი ადგილმდებარეობის შესახებ.**

**რუკები განთავსებულია შემდეგ ლოკაციებზე:**

**ბულვარის ცენტრალური შესასვლელი (მარჯვენა/მარცხენა მხარე);**

**დ.თავდადებულის ქუჩა;**

**ნ.დუმბაძის ქუჩა;**

**სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია.**

**პროექტი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა.**

# ვისაც ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი არ უგულმავიწყია...

**სიძულვილის ენის მქონემ, უმეცარმა, პრეზიდენტის პოსტისთვის მეტად შეუფერებელმა ინდივიდმა — ვაშაძემ იქედნურად განაცხადა: ზურაბიშვილმა გრამატიკაში უნდა წაიმეცადინოს, რომ ჩემთან საპაექროდ დაჯდესო.**

ცნობილია, რომ ნაპოლეონმა კარგად არ იცოდა ფრანგული ენა, რაღა შორს მივდივარ, ვასილ მჟავანაძე სუსტად ფლობდა ქართულ ენას, მაგრამ ხალხმა ვასილ მშენებელი შეარქვა.




მართალია, ქალბატონი სალომე ქართულად ფრანგული აქცენტით საუბრობს, მაგრამ მისი მეტყველება ქართულ ენაზე მაინც ინტელექტუალურობას გამოასხივებს, ხოლო ვაშაძის საუბარი მდაბიურია და ქართული ენის მცოდნე ადამიანისთვის სრულიად მიუღებელია. **მითქვია, გითქვია, ხუთი წლის უკან, თანხვედრა, თანხვედრილი.** ამ ინდივიდის, არაკაცი სააკაშვილის კაცის ენობრივი შეცდომების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ზემოხსენებული სიტყვების სწორი ფორმაა: **მითქვამს, გითქვამს, ხუთი წლის წინ** (უკან — რუსული კალკია), თანხვდენილი, თანხვდენილობა...

მთავარია, პოლიტიკოსი როგორ მართავს სახელმწიფოს.

ამ უმეცარ კაცს კი წარმოდგენაც არა აქვს ქვეყნის მართვა-გამგეობაზე.

გარკვევით, თანაც მრავალჯერ გაიმეორა — სისხლის სამართლის დამნაშავე პოლიტიკოსებს ციხიდან გამოვუშვებო. ამჟამად კი ვაშაძემ ირიბულად — სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ახალაიას მეშვეობით თავისი ნათქვამი უარყო. ამას ჰქვია — ასე ჩემო მანასეო, ხან ისეო და ხან ასეო. ვაშაძე პატრიარქს შეხვდა და თავისი ნაბოდვარი მას მიაწერა. ამაზე აღშფოთდნენ მღვდელმთავრები და საკადრისი პასუხიც გასცეს.

ვაშაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში საქართველო ვერ აიცილებს სამოქალაქო დაპირისპირებას. რელიგიურად რომ ვთქვათ, ჩვენს არასწორ ნაბიჯს უზენაესი არ გვაპატიებს და შესატყვის გადაწყვეტილებას მიიღებს.

ცოტა რამ ქარაფშუტა ოქრუაშვილსა და არანაკლებ ქარაფშუტა უსუფაშვილზე. — ოქრუაშვილმა რიხით განაცხადა: ჟორდანიას და მის თანაგუნდელებს კი არ ვგავარ, რომ სამუდამოდ დარჩნენ საფრანგეთშიო. მე ვერ გავძელი ამ ქვეყანაში და საქართველოში ჩამოვედიო. საკითხავია, მას ვინ უშლიდა საქართველოში ჩამოსვლას? „ოცნების" მიერ გადემოკრატებულ საქართველოში არავითარი საფრთხე არ ელოდა. ჟორდანია რომ საქართველოში დაბრუნებულიყო, და ისე მოქცეულიყო (რა თქმა უნდა გამორიცხულია), როგორც მოიქცა ოქრუაშვილი, იმ სახელს არ დატოვებდა, რაც მას ამჟამად აქვს.

ერთმეტრიანი მერაბიშვილის ნაჯღაბნისკენ ცალი თვალი ჰქონდა მიპყრობილი ამ ორმეტრიან ახმახს და ლუღლუღით, საცოდავი სახის გამომეტყველებით, ცრემლმორეული კითხულობდა სხვის მიერ დაწერილს!

ამით მან შეარცხვინა ქართველი კაცის სახელი, საერთოდ კი — კაცთა მოდგმა.

ამის შემდეგ მას, მაპატიოს უზენაესმა, თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინა სიცოცხლე. პაოლო იაშვილმა გაუსაძლისი წამების შემდეგ გამოძიებას არასწორი ჩვენება მისცა და დაკითხვის შემდეგ, უმალვე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამით მან გამოისყიდა შეცდომა და თავისი გვარის წარმომადგენლები სამუდამოდ არ შეარცხვინა. ამჟამად პაოლო ქართველ ხალხს გმირად ჰყავს წარმოდგენილი.

ოქრუაშვილი ხმას აძლევს ვაშაძეს, სააკაშვილის კაცს. სააკაშვილმა, რომელმაც, უკაცრაული პასუხია, გააფარჩაკა, ზომაზე მეტად დაამცირა ოქრუაშვილი და მის შთამომავლობას დაუტოვა ძნელად მოსაცილებელი სამარცხვინო საქციელის ლაქა.

რაც შეეხება უსუფაშვილს. ვერ გამიგია, როგორც იტყვიან ჩემამდე ვერ დადის ის, ზოგი ადამიანი მას სერიოზულ პოლიტიკოსად მიიჩნევს. არადა, ის მეტად განუსწავლელი ადამიანია.

საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრები ასეთ რამეს მომიყვნენ: 1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი — „საბჭოთა პერიოდის პოლიტრეპრესირებულთა სოცუზრუნველყოფის შესახებ". ჯილდოს სახით, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და დაისაჯა, პენსია გაეზარდათ. სხვა რეპრესირებულებს ეს კანონი არ შეეხო, ვინაიდან ყოველგვარი საზღაურის გაცემა ევალება რუსეთის ფედერაციას, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს. ეს ელემენტარული იურიდიული ნორმა ვერ გააცნობიერა ცოლ-ქმარმა — ხიდაშელმა და უსუფაშვილმა (მაშინ ისინი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ხელმძღვანელობდნენ) და საზღვარგარეთ დეპეშა აფრინეს — საქართველოში პოლიტრეპრესირებულთა დისკრიმინაცია ხდება და საჭიროა სასწრაფო ზომების მიღებაო.

ყოფილი პოლიტპატიმრების შემართებული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, ხელისუფლებამ ანტისახელმწიფოებრივი წინადადება არ მიიღო და ქვეყანა, პოლიტპატიმრების აზრით, სახელმწიფო თოთხმეტი მილიარდი ლარის ზარალს გადაურჩა. აბა, წარმოვიდგინოთ! 400 ათასი დეპორტირებული საქართველოში დაბრუნებას ელოდება. ამ კანონის მიხედვით, თუ ეს კანონი მათზე გავრცელდებოდა, მიეცემოდათ საცხოვრებელი ბინა, ავეჯი და მიწის ნაკვეთი, თუ დასახელებული ქონების ღირებულებას გადავამრავლებთ 400 ათასზე, მივიღებთ 14 მილიარდს. თუმცა უსუფაშვილის თანამზრახველებმა სააკაშვილმა, ბურჯანაძემ, ადეიშვილმა და სხვებმა მხარდამჭერთა მომრავლების მიზნით მაინც მოახერხეს ქვეყნისთვის რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ზარალის მიყენება — რამდენიმე ათას მოქალაქეს ყალბად დაენიშნათ პოლიტპატიმრის პენსია, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლასთან....

ახლა უკვე ყველასთვის ნათელია, რომ სააკაშვილს ზურგს უმაგრებენ დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკური წრეები. სწორედ მათ მიერ იქნენ დასაქმებული უკრაინაში ეს შტერი ინდივიდები, რომლებიც უკრაინელმა ხალხმა სამართლიანად გამოაძევა ქვეყნიდან. ამჟამადაც ზემოხსენებული პოლიტიკური წრეები ყოველნაირ მეთოდს მიმართავენ, რათა სააკაშვილი და მისი თანამზრახველები საქართველოს ხელისუფლებაში დააბრუნონ. დასავლეთს აურაცხელი დოლარი დაუჯდა, რათა ყურმოჭრილი მარიონეტები გამოეზარდა. გამოზარდეს კიდეც ნაცების სახით და არ სურთ, შრომა წყალში ჩაეყაროთ.




სააკაშვილისა და მათი თანამოსაქმეების დაბრუნებას ხელისუფლებაში საქართველოს მოქალაქეები, ჭეშმარიტი ქართველები მთელი ძალით უნდა შეებრძოლონ.

ეგრეთ წოდებულ რესპუბლიკელებზე რაღა უნდა ითქვას — ისინი ხომ პოლიტიკური მეძავები არიან, რისთვისაც ქართველმა ხალხმა სამართლიანად შეიძულა. პირადად მე, დასავლეთთან დაახლოების მომხრე ვარ. ის სერიოზულ მატერიალურ დახმარებას გვიწევს. უდასავლეთოდ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება გაუჭირდება, მაგრამ დასავლეთთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ არა ქარაფშუტა, საქართველოს ინტერესების უგულებელმყოფელ ინდივიდებს, არამედ „ოცნებას", რომლის შემადგენლობაში მრავლად მოიპოვებიან სერიოზული, ჭკვიანი ადამიანები. ამ არჩევნებში დასავლეთი უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ნაცებთან ურთიერთობა არც მათ დააყრის ხეირს.



**გივი ჯახუა,**
**მწერალი, ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი**

---

# თემურ ბასილია: ეროვნული ბანკი უწევს პროვოცირებას ლარის გაუფასურებას

**ფინანსისტი თემურ ბასილია ლარის კურსის გაუფასურების მიზეზებზე საუბრობს. მისი განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტში აუთვისებელი თანხები ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც კურსის ცვალებადობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. როგორც ბასილია განმარტავს, ბიუჯეტის კანონით გაწერილი თანხები ათვისებული არ არის, ლარის კურსის ამ ვარდნას ნაკლები შეხება აქვს, როგორც ქვეყნის ფისკალურ (საბიუჯეტო) პოლიტიკასთან, ისე არჩევნებთან.**



მისი განცხადებით, ბიუჯეტის ათვისებას უნდა გამოეწვია ლარის კურსის ვარდნა. „ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული „ბიუჯეტის ხაზით არა თუ ზედმეტი, არამედ, კანონით გათვალისწინებული ხარჯიც კი არ არის გაწეული," — აცხადებს ბასილია.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტში აუთვისებელი თანხების ძირითადი ნაწილი ინფრასტრუქტურის სამინისტროზე მოდის, კითხვაზე — რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება ფულის „ხარჯვას" და ინფრასტრუქტურული პროექტების ტემპის დაჩქარებას, ბასილია აღნიშნავს, რომ ეს სხვა პრობლემაა და ყველა შემთხვევაში აჩენს კითხვას, თუ რამდენად არის ქვეყანა და მისი ინსტიტუტები მზად, ამ ოდენობის სახსრები აითვისონ?

ლარის კურსის გაუფასურების მეორე მნიშვნელოვან მიზეზად ბასილია ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ასახელებს. მისი შეფასებით, ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში არაფერი შეცვლილა.

**„სამწუხაროდ, ეროვნული ბანკის ურთიერთობა საზოგადოებასთან, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: პრაქტიკულად, არ კონტაქტობენ მედიასთან და საზოგადოებასთან; ხოლო, როდესაც კონტაქტობენ, სრულიად არაკომპეტენტურ და უპასუხისმგებლო განმარტებებს იძლევიან. არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი... დაწყებითი ეკონომიკის ნებისმიერ სახელმძღვანელოშიც კი წერია, რომ ინფლაციის, ვალუტის კურსის ცვალებადობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა. გამოდიან ეროვნული ბანკის ხელმძღვანელები და ცდილობენ, ამის საწინააღმდეგოში დაგვარწმუნონ. არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამით საზოგადოებისთვის თვალის ახვევას ცდილობენ, რადგან დაფარონ კორუფციული გარიგებები, რაც ხდება ე.წ. რეფინანსირების სესხებთან მიმართებაში.**

**საქმე ეხება ასობით მილიონი ლარის გაცემას ეროვნული ბანკიდან ძირითადად ორ ბანკზე, რაც უკვე წლებია, გრძელდება. ეს არის ძირითადი მიზეზი, რაც იწვევს ლარის კურსის ასეთ მერყეობას",** — განმარტავს ბასილია.

„კომერსანტის" კითხვაზე — ასეთ პირობებში, ეროვნული ბანკის მხრიდან სწორია თუ არა რეზერვების შევსებისთვის მიმოქცევიდან დოლარის ამოღება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ქმნის ბაზარზე დოლარის დეფიციტს.

ბასილია განმარტავს: იმის ნაცვლად, რომ ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან იღებდეს ლარს, პირიქით, უცხოური ვალუტის ყიდვით კიდევ უფრო მეტ ლარს უშვებს მიმოქცევაში. ანუ, თავად ეროვნული ბანკი უწევს პროვოცირებას ლარის გაუფასურებას.

**სოფო ქსოვრელი**

**გული მწყდება, რომ ზოგიერთს ჰგონია, თითქოს ქართველები უკვე აზროვნებადაქვეითებულ ერად გადავიქეცით და არც ჩვენი წარსულისა და არც აწმყოსი გაგვეგება რამე. სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ „რადიო თავისუფლების“ უმეცართათვის განკუთვნილ ინფორმაციათა თანამიმდევრულობა, რომლის მიხედვითაც საეკლესიო მოვლენათა მდინარება ცალმხრივად და არაადეკვატურად არის ასახული.**



# გადამთიელნიც ისტორიას შეგვახსენებენ

## საეკლესიო განხეთქილების ჩიხიდან გამოსავალი გზა ვიწროვდება!

„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის საპატრიარქოს მეთაურის ფილარეტის განცხადებით, რუსეთი უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალიის მიღებაში უშლის ხელს“ (22.06.2018); „კიევის პატრიარქი ფილარეტი აცხადებს,... როდესაც შეიქმნება უკრაინული ავტოკეფალური ეკლესია... მოსკოვის საპატრიარქო მსოფლიოში უდიდესი აღარ იქნება, ანუ მას აღარ ექნება ის გავლენა, რომელიც დღეს აქვს. შედეგად, მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში მშვიდობა დაისადგურებს“ (17.09.-2018); **„საქართველოს ეკლესიას უნდა ახსოვდეს ისტორია, რადგან უკრაინის ეკლესია ამჟამად მსგავსი ისტორიის წინაშეა, — ამის შესახებ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ფილარეტმა „რადიო თავისუფლების“ ქართული ბიუროს შეკითხვაზე პასუხად განაცხადა... უკრაინას ახსოვს, რომ რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაანადგურა და თბილისში რუსი ეგზარქოსი დანიშნა... ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ეკლესია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას მხარს დაუჭერს“** (31.10.2018). — ასეთია „რადიო თავისუფლების“ ქრონიკა, რომელშიც, როგორც ვხედავთ, არაფერია ნათქვამი საკითხის ჭეშმარიტ არსზე და მხოლოდ გაუცნობიერებელი მკითხველის შეცდომაში შეყვანაზეა გათვლილი.

მიაქციეთ ყურადღება ფილარეტის ტიტულატურას: იგი ჯერ კიევის საპატრიარქოს მეთაურად მოიხსენიება, შემდეგ — კიევის პატრიარქად, ბოლოს კი — უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად. ეს საინფორმაციო ინი შემთხვევითი არ არის. პროდასავლურ მედიას ფილარეტ დენისენკოს განდიდება ესაჭიროება რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს დისკრედიტაციისთვის; პატრიარქის სტატუსი მას ავტორიტეტს სძენს და საერთაშორისო მედია-სივრცეში მის სიტყვას წონას ჰმატებს. სამწუხაროდ, ყველა ამდაგვარი საინფორმაციო საშუალება მიზნის მისაღწევად იეზუიტურ მეთოდს იყენებს და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ დაპირისპირებათა მანიპულირებით მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობის დარღვევას ცდილობს.

ამიტომ, კიდევ ერთხელ, მთელი სერიოზულობით ჩავუღრმავდეთ ეკლესიაში წარმოქმნილ პრობლემებს და შესაბამისად სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ **ამჟამად მთელი მართლმადიდებელი სამყარო დგას ისეთი მასშტაბის გამოცდის წინაშე, რომელსაც მხოლოდ XI ს-ის განხეთქილება თუ შეედრება. მაშინ ადგილობრივმა ეკლესიებმა ვერ შეძლეს ერთობის შენარჩუნება და იძულებულნი შეიქნენ, განეშორებინათ მწვალებლობით დასნეულებული ნაწილი, მაგრამ დღეს დიდი გამოცდილებისა და ისტორიის მქონე ეკლესია, ღმრთის წყალობით, ალბათ მეტს შეძლებს და ერთიანი ძალისხმევით ახალ განხეთქილებას თავიდან აირიდებს.** ამისთვის კი ჩვენი მხრივ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია სიფხიზლე და ობიექტურობის დაცვა.

1. ვინ არის ფილარეტ დენისენკო? — ყოფილი ეპისკოპოსი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა. მას იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ პატრიარქ პიმენის გარდაცვალების შემდეგ ახალი საჭეთმპყრობლის არჩევნებზე პრეტენდენტთა შორის ირიცხებოდა. თუმცა მაშინ, 1990 წელს, აწ განსვენებული პატრიარქი ალექსი II აირჩიეს. ფილარეტის სულიერი დაცემაც ამ დროიდან დაიწყო.

საერო ხელისუფლების მონაწილეობითა და მხარდაჭერით მან უკრაინის ეკლესიის მეთაურობა გადაწყვიტა. შექმნა ე. წ. დამოუკიდებელი ეკლესია, რომელიც, რა თქმა უნდა, არც ერთმა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ აღიარა. 1992 წელს, ეკლესიის ერთობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის კრების გადაწყვეტილებით დენისენკოს მსახურება აეკრძალა და ხარისხი ჩამოერთვა. მაგრამ მან მღვდელმსახურება გააგრძელა; თვითნებურად ადგენდა ახალ ეპისკოპოსებს, აკურთხებდა მღვდლებს, მოქმედი ადგილობრივი ეკლესიის ტერიტორიაზე ხსნიდა ტაძრებს... **შეუძლებელია, რომ ეკლესიის წინააღმდეგ შეგნებულად წასვლა არ შეფასებულიყო როგორც გმობა სულისა წმიდისა, რადგან, მამათა სწავლების მიხედვით, სულიწმიდის გმობა არა წმიდა სამების მესამე ჰიპოსტასის მიმართ მკრეხელური სიტყვების წარმოთქმას, არამედ ჭეშმარიტების შეგნებულად უარყოფას ნიშნავს. ამის საფუძველზე რუსეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრებამ 1997 წელს ფილარეტ დენისენკო შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ფილარეტს საეკლესიო კანონთა ფეხქვეშ გათელვა არც შემდგომ წლებში შეუწყვეტია.**

2. ვინ ცდილობს ფილარეტ დენისენკოს რეაბილიტაციას? — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წარმომადგენელთა მხარდაჭერით (ამის თაობაზე საკმაო ფაქტობრივი მასალა გამოქვეყნდა. მაგ., დეკ. ვ. ლეონოვის ნარკვევში Константинопольский папизм (პრავოსლავიე.რუ), კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომეოსი თავის სინოდთან ერთად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმეებში სრულიად არაკანონიკურად შეიჭრა და ისე, რომ არც კი მიუმართავს მისი იერარქისთვის და არც რაიმე განწესება დაუცავს, ფილარეტს ანათემა ავტომატურად მოუხსნა, თანაც, მონანიების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ანათემის მოხსნით დიდი რისკი გასწია, როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა სათანადოდ მაინც ვერ შეაფასა ფილარეტის ამბიციური ხასიათი; ვინაიდან მან ფილარეტს განკვეთამდე მინიჭებული ხარისხი, ანუ მიტროპოლიტობა კი აღუდგინა, მაგრამ ფილარეტი თავის თავს უკრაინის პატრიარქს უწოდებს და ამისთვის მას არც ფანარის ტომოსი და არც მასთან შეთანხმება დასჭირვებია.

**აი, ასეთი ყოველმხრივ უკანონო პატრიარქი მოგვიწოდებს ჩვენ ისტორიის გახსენებისკენ და თან იმედოვნებს, რომ განხეთქილებაში მყოფ თვითმარქვია იერარქს საქართველოს ეკლესია დაუჭერს მხარს.**

3. რა მიზანი აქვს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს? — წინა სტატიაში („ს.რ.“, 21.09.2018) ჩვენ მიმოვიხილეთ ფანარის მიერ გამოწვეული პრობლემები, მაგრამ მოვლენები არასახარბიელოდ ვითარდება და „მეორე რომის“ იდეით დამძიმებული ფანარი უკან არ იხევს. ამის დასტურია ზემოთ აღნიშნული ანათემის საკითხიც, რომლითაც კონსტანტინეპოლმა ჩიხიდან გამოსასვლელი გზა კიდევ უფრო დაავიწროვა. **კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ თავისი ქმედებით პირდაპირ გააუქმა რუსეთის ეკლესიის სინოდის დადგენილება, რისი უფლებაც მას არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდა. არც ეპისკოპოსსა და არც პატრიარქს არ შეუძლია, გადაწყვიტოს იმ სამღვდელო პირებთან დაკავშირებული კანონიკური საკითხები, რომელნიც მას არ ექვემდებარებიან.**

პატრიარქმა ბართლომეოსმა, როგორც კანონიკის სპეციალისტმა, შესანიშნავად იცის, რომ არსებული მდგომარეობით **უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატი და სამღვდელო დასი უკვე მეოთხე საუკუნეა კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციაში არ შედიან. ამიტომ თავისი უფლებების უკრაინაზე გასავრცელებლად სრულიად წარმოუდგენელი გადაწყვეტილება მიიღო და კონსტანტინეპოლის პატრიარქის დიონისეს 1686 წლის დადგენილება გააუქმა, რომლითაც მან მოსკოვის საპატრიარქოს მმართველობას კიევის კათედრა გადასცა.**

აღნიშნული გადაწყვეტილებით კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მას ყველა ადგილობრივ ეკლესიაზე (მისი სიტყვით, ძველი ავტოკეფალური ეკლესიების გარდა) აქვს ანალოგიური უფლება და ავტოკეფალიის მინიჭებაც ერთპიროვნულად შეუძლია. ამ მეტად სახიფათო კანონდარღვევათა გამო რუსეთის პატრიარქმა კირილემ კონსტანტინეპოლის პატრიარქს წინადადებით მიმართა: წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად მართლმადიდებელთა საყოველთაო კრების მოწვევა შესთავაზა. ამ ინიციატივას მხარი ადგილობრივ ეკლესიათა იერარქების უმრავლესობამ დაუჭირა, პატრიარქ ბართლომეოსისგან კი თანხმობა ვერ მიიღო. ამის შემდეგ **რუსეთის ეკლესია იძულებული გახდა, კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი გაეწყვიტა და ამით მოეხდინა დეკლარირება იმისა, რომ ამჟამად კონსტანტინეპოლის საპატრიარქო მასთან განხეთქილებაში იმყოფება.**

დაბოლოს, რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და ეგზარქოსობის თემატიკით მანიპულირებას, ვფიქრობთ, დაინტერესებულ მკითხველს მის მიუკერძოებელ ანალიზს მალე შევთავაზებთ.

**ბერი გიორგი (რუხაძე).**

## ფაქტობრივად, დაცლილი ცხინვალის იზოლაციას აკეთებენ და მათთვის, ვინც იქ არის დარჩენილი, ქმნიან გაუსაძლის პირობებს

**ოკუპანტებმა სოფელ ატოცთან საფორტიფიკაციო ნაგებობების მონტაჟი განაახლეს. ე.წ. მესაზღვრეებმა სატვირთო ავტომანქანებით მავთულხლართების მონტაჟისთვის საჭირო ლითონის კონსტრუქციები აღნიშნულ ტერიტორიაზეი დღეს დილით მიიტანეს.**



სოფელ ატოცში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი იმყოფებოდა. ის პირადად გაეცნო სოფელში მიმდინარე ვითარებას. დღეს რასაც აკეთებენ ესენი, ეს არის რომ შემოსაზღვრონ სამხედრო გეტო, სადაც ცხოვრობს 20-30 ათასი მოსახლე, ფაქტობრივად, დაცლილი ცხინვალის იზოლაციას აკეთებენ და მათთვის, ვინც იქ არის დარჩენილი, ქმნიან გაუსაძლის პირობებს, — განაცხადა მან.

**„ჩვენ ამას არ შევეგუებით, არ გავტყდებით, კიდევ უფრო გავძლიერდებით და არ შევწყვეტთ ჩვენს მშვიდობიან ბრძოლას, ვიდრე ბოლო მეტრი ამ სამარცხვინო მავრთულხლართების არ დაიშლება ამ ტერიტორიაზე. მე მინდა, აქ ყოფნით ატოცის მოსახლეობის მიმართ გამოვხატო მხარდაჭერა“,** — განაცხადა ციხელაშვილი.

## დოდო გუგეშაშვილი: მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება თავგამოდებით მუშაობს, წინსვლა არ გვაქვს

ამის შესახებ თადარიგის გენერალმა დოდო გუგეშაშვილმა განაცხადა. მისი შვილის მკვლელობისა და მასზე თავდასხმის საქმეზე გუგეშაშვილმა დამოუკიდებელი ექსპერტები მაია ნიკოლაიშვილი და ზაზა ალთუნაშვილი ჩართო. მათ საკუთარი დასკვნა ჯერ არ წარმოუდგენიათ.



**„ჯერჯერობით მუშაობენ და ძალიან მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან, როგორც ქალბატონი მაია ნიკოლაიშვილი, ისე ბატონი ზაზა ალთუნაშვილი. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მაღალი დონის კომპეტენტური დასკვნა დაიდება, რამაც შეიძლება, საქმე ოდნავ მაინც წინ წაწიოს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება თავგამოდებით მუშაობს, ჯერჯერობით, წინსვლა არ გვაქვს“,** — აღნიშნა დოდო გუგეშაშვილმა.

# „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

> როგორც პიროვნება, ის უკვდავია.
>
> მაქს ბირბომი.
>
> **ბიჭი** დავიბადებოდი თუ, პირიქით, მეტისმეტად კეთილგონიერი, სულერთია, ჩემი სამეფო ამ ქვეყანას არ ეკუთვნოდა: მარტო წარმოსახვა მაცოცხლებდა, და თავს ლაღად მხოლოდ დიად მიცვალებულთა საზოგადოებაში ვგრძნობდი.
>
> ბერნარდ შოუ

# ვინ იყო ბერნარდ შოუ?

**ჯორჯ ბერნარდ შოუ** ირლანდიელი მწერალი, დრამატურგი, რომანისტი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი და XIX-XX საუკუნეთა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ლიტერატურული მოღვაწეა, მაგრამ შოუ დიდსახელიანია არა მარტო ნოვატორობით ლიტერატურის დარგში, არამედ ცნობილია აგრეთვე თავისი წამქეზებლურ-შემაგულიანებელი და გონებამახვილური გამონათქვამებით, რომელთაც ერთი მისხალიც არ დაუკარგავთ მთელი ამ დროის მანძილზე პოპულარობისა და საჭირბოროტო თვალსაზრისით. ამ გამონათქვამთა კითხვისას ძნელია ღიმილისგან თავის შეკავება.

შოუ მხიარული და ავენაა, დაუშრეტელი „სიცრუის სიბრძნით“, სვიფტური ძალმოსილებით, ადამიანის შესაძლებლობათა რწმენით საყოველთაო დაცინვისა და გაქირდვის საგნად ხდიდა კერძომესაკუთრული სამყაროს უბადრუკობასა და უზნეობას. უსამართლობასა და ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის მჩაგვრელს შოუზე უფრო დიდი მტერი ბევრი არა ჰყოლია. თუ შოუს უმდიდრეს შემოქმედებას მეტ-ნაკლებად იცნობ, ყურში მუდმივად ჩაგესმის ამ წითელწვერა ირლანდიელი მეფისტოფლის დამცინავი ხმა: „როცა ბიოგრაფიას კითხულობთ, გახსოვდეთ, რომ სიმართლე არცროდის არ ვარგა გამოსაქვეყნებლად“...

ჯორჯ ბერნარდ შოუ 1856 წლის 26 ივლისს დაიბადა ქალაქ დუბლინში. მამა, ჯორჯ შოუ, ხორბლით ვაჭრობდა, დედა, ლუსინდა შოუ, მომღერალი იყო.

საშუალო განათლება ბერნარდმა დუბლინში მიიღო. თვითონ შოუ ჰგონებდა, რომ სკოლა განათლების სრულიად უსარგებლო და, ის კი არა, რამდენადმე მავნე ეტაპი იყო. შოუების ოჯახი საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა, რის გამოც ბერნარდს უკვე 15 წლისას მოუხდა კლერკად მუშაობის დაწყება, კლერკის მოვალეობას კი შეადგენდა დუბლინის ქოხმახებში მცხოვრებთაგან ბინის ქირის აკრეფა. შოუ 16 წლისა იყო, როცა დედა საყვარელთან ერთად სახლიდან გაიქცა და მამასთან მარტო დარჩენილი ბერნარდი უძრავი ქონებით მოვაჭრე კანტორის აგენტი გახდა.

1876 წელს შოუ დედასთან წავიდა ლონდონში, სადაც საჯარო ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების ხშირი სტუმარი იყო. წერაც სწორედ იმხანად დაიწყო. ბერნარდს ძალიან უყვარდა მუსიკა და იმდენად კარგად ერკვეოდა ამ საქმეში, რომ ერთ-ერთ გაზეთში მუსიკალურ სვეტსაც კი უძღვებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ის ფრიად



ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი შეიქმნა.

1890-იან წლებში შოუ სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა გაიტაცეს და იგი „ფაბიანელთა საზოგადოების“ წევრი გახდა, რომლის რეფორმისტული მიზანი კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურით შეცვლა იყო, ოღონდ არა რევოლუციის, არამედ ევოლუციის გზით. შოუ, როგორც უკვე ნიშანდებული პიროვნება, გამოდიოდა ლექციებით, აწყობდა მიტინგებს, ხვეწდა თავის ორატორულ ოსტატობას. ამ დროს ყველაზე საუკეთესო თავისი შრომები მან გამოაქვეყნა „ფაბიანური სოციალიზმის ნარკვევების“ კრებულის სახით.

შოუმ ლამის მთელი ერთი საუკუნე იცოცხლა, როცა უკვე ღრმად მიმხცოვნებულს ჰკითხეს, ცხოვრების სიმართლე რაში მდგომარეობსო, მან ჩვეული ოხუნჯი კილოთი მიუგო: „სიმართლე იძულებულს გვხდის, რომ გადაჭედმეტებულად ბევრი ვიცრუოთო!“

გამოყენებულია ფენიქსის (დონის როსტოვი) გამოცემული ტექსტი.

## „სიცვილი ჩემი მახვილია, ჩემი ფარი და ლახვარია“



ასე ამბობდა ბერნარდ შოუ

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

# საკუთარ თავზე

*ბერნარდ შოუს, რა თქმა უნდა, უზომოდ უყვარდა სიცოცხლე მთელი თავისი მრავალფეროვნებით! რაც კი შეიძლებოდა, ყოველგვარი სიამოვნება „გამოსტყუა“ ცხოვრებას... უპირველეს სიამოვნებას კი მაინც შრომაში ნახულობდა. თუ გადახედავთ იმის უზღვავ შემოქმედებას, მიხვდებით, რომ ნამდვილი მუშაკელია იყო!*

* * *

ლიტერატორი იმიტომ გავხდი, რომ ავტორი იშვიათად ხვდება თავის კლიენტებს და მაინცდამაინც სავალდებულო არ არის ყოველი შეხვედრის წინ გამოპრანჭვა.

* * *

სიცოცხლე ჩემთვის სულაც მღვენთავი სანთელი კი არა, რაღაც საოცარი ლამპრისდამაგვარია, რომელიც წამიერად მომხვდა ხელში. და მინდა, რომ რაც შეიძლება კანთიელად ვანათებინო, სანამ მომავალ თაობებს გადავულოცავდე.

* * *

ბავშვობაში მწერლობაზე იმაზე მეტი არ მიოცნებია, ვიდრე იხვი ოცნებობს ცურვაზე.

* * *

ჯაფა-ჭაპანწყვეტისთვის მეტად სუსტი, ვიდექი და წიგნებსა და პიესებს ვწერდი.

* * *

ჩემი ერთადერთი პოლიტიკაა ბოროტების მიტევება და კეთილის ქმნა. ყველაზე ტრაგიკული რამ ამქვეყნად უღირსებო გენიოსობაა.

* * *

მამიდაჩემი სულ იმას შემაგონებდა: „გახსოვდეს, რომ ყველაზე უფრო ნაკლებად გონჯი დაია საგვარეულოს მზეთუნახავად მიიჩნევაო“.



*მე პირწავარდნილი ირლანდიელი ვარ: ინგლისში რომ ხემშირია, ჩემი საგვარეულო იქიდან მოდის, ჩემი ყველაზე ძველი წინაპარი კი, რომელიც ირლანდიაში დასახლებულა 1689 წელს, მამისმამეულად, ანუ წარმოშობით, შოტლანდიელი ყოფილა.*

* * *

მე ბედნიერი იმიტომ ვარ, რაკი დრო არა მაქვს იმის საფიქრებლად, რა უბედური ვარ-მეთქი.

* * *

იმ ქალთა არა იგივეობასა თუ არა მუდმივობას, ვინც მიყვარდა, იმ ქალთა იგივეობა-მუდმივობა ანაზღაურებდა, ვისაც ვუყვარდი.

* * *

რაკიღა ახლა თავისუფალი შემოქმედი ვარ, სულაც იმას არ ნიშნავს, რომ არცროდის პატიოსანი შრომით ცხოვრება არ მიცდია.

* * *

როგორც წესი, მხატვარზე მოსაზრების შექმნას ვერ ვბედავ, სანამ თავად არ დავრწმუნდები, რომ ჩემი მოსაზრება სწორია.

* * *

მე იმის სავალალო მაგალითი ვარ, რომ საქმისგან თავაუღლებლად მაშვრალი არაფრით უკეთესია, ვინემ სუფრიდან თავაუღებლად მსმელი არყის ბოღლიწო. ამქვეყნად როგორც რომ უქმე დღეები, არცრა ისე არ მაშინებს.

* * *

როგორ ფიქრობთ, რა იქნებოდა ახლა ჩემს თავს, თუ მთელი ჩემი ცხოვრება არცრა სხვა საქმეს არ მივყოფდი ხელს და მხოლოდ მსოფლიოს მოდებულ ჩემს სახელგანსმენილ ხიბლს გამოვიყენებდი?

* * *

ჩემს ცხოვრებაში ჯერ ერთხელაც არ დამიგვიანია მატარებელზე და მატარებლის გასვლამდე ერთი წუთით ადრე ერთხელაც არ მივსულვარ.

* * *

მე არც ვსვამ, არც ვეწევი და როცა მდგომარეობა უსაქმურობას მაიძულებს, მოწყენილობისგან ისღა დამრჩენია, რომ ვიყალთაბანდო.

* * *

ამა თვის 26 რიცხვში 56 წლისა ვხდები, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოვიწიფე, მოზრდილი მაინც ვერ გავხდი.

* * *

ვისგანაც კი შემეძლო, ყველას ვალი დავიდე.

* * *

კვირას დასვენება გადავწყვიტე, მაგრამ დასვენების მაგივრად ოთხი საათი ნიჩაბს ვუსვამდი ქარისა და წყლის წინააღმდეგობის საპირისპიროდ საშინელ ქარაშატოში. ამ გასეირნებამ და კიდევ არაერთმა წვრილ-წვრილმა უსიამოვნებამ საბოლოოდ მომიღეს ბოლო – ან უნდა დამესვენა, ანდა თქვენი ჭირი უნდა წამეღო; ვინაიდან ლოგინი რომ ლოგინია, იქაც თუ ძალიან ფრთხილად არ გადავბრუნდი მეორე გვერდზე, გული ეგრევე მიჩერდება სულ ცოტა ნახევარი საათი მაინც.

* * *

ასარჩევად თუ გამიხდებოდა ორი ხვედრიდან ერთ-ერთი მდედრის მუდმივი დედობის ხვედრსა და მამრის მარადი ბავშვობის ხვედრს შორის, ვგონებ, მამრისას ვამჯობინებდი.

* * *

საოცარია, რა მცირე სარგებელია ტვინში! თუგინდ ჩემი თავი ავიღოთ, ტვინი, იცოცხლეთ, მშვენიერი, მაღალხარისხოვანი მაქვს, მაგრამ ამ ჩემი ტვინის წყალობით ბევრად ცოტა რამ შევიტყვე, ვიდრე იმ პირველივე სულელი ქალის წყალობით, ვისაც ჩემი შეყვარება მოეპრიანა.

* * *

რა ვქნა, ხშირად მივმართავ ჩემი თავის ციტირებას, რაც უფრო მიმახვილებს ლაპარაკს.

* * *

თვლა არა აქვს, უკვე იმდენჯერ გითხარით, რამდენიც გენებოთ, მტერი იმდენი გაიჩინეთ, ოღონდ წინ, მაგრამ უკან არ მოიტოვოთ-მეთქი!

* * *

ჩემი ხუმრობის ხერხია სიმართლის თქმა. ამაზე უფრო სასაცილო არც არაფერია ქვეყნად.

* * *

ჩემი სახელ-დიდება ყოველი ჩემი მარცხით იზრდებოდა.

* * *

მე მხოლოდ ის მინდა, რომ ყოველივე ყოველთვის ჩემს ჭკუაზე იყვეს.

* * *

ბრძოლა არ მიყვარს, პირდაპირ გამარჯვებას შევტრფი.

* * *

ლამის გავგიჟდე იმ ერთი აზრისგან – რამდენად ბევრი რამ მეცოდინებოდა, სკოლაში რომ არ მევლო.

* * *

მე მანამ გავხდი ლაღმოაზროვნე, სანამ აზროვნებას ვისწავლიდი.

* * *

რა ვიცი, რა ქალს არ შევხვედრივარ და ყოველივე გავიგე, რისი გაგებაც იმათგან შეიძლება და ეს მუდამ სიყვარულით ხდებოდა, რადგან ზედმეტი ფული არასოდეს არა მქონია.

* * *

თითქმის ოცი წელიწადი ხისტაღვირამოდებული ვარ და თანდაყოლილ უნართა თანდათან დანელების წყალობით იმდენად უღიმღამო პიროვნება შევიქმენი, რომ თანამემამულეთ სერიოზულ, საგულო კაცად შერაცხვის პატივი დამდეს.

**(გაგრძელება იქნება)**

# აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა დემოკრატებმა მოიპოვეს

**წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობის მისაღებად, დემოკრატებს მინიმუმ 218 მანდატი უნდა მოეპოვებინათ. ამ დროისთვის, დემოკრატები 222 მანდატს ფლობენ, რაც მათ წარმომადგენელთა პალატაზე კონტროლის დამყარების საშუალებას აძლევს. რესპუბლიკელებმა მხოლოდ 199 მანდატის მოპოვება შეძლეს.**




რესპუბლიკელებმა მოახერხეს, შეენარჩუნებინათ სენატში უმრავლესობა, სადაც მათ უკვე 51 ადგილი აქვთ მოპოვებული, დემოკრატებს კი 45 ადგილი.

**არჩევნებამდე, აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატას რესპუბლიკელები აკონტროლებდნენ, სენატის 100 წევრიდან 51 რესპუბლიკელი იყო, 47 — დემოკრატი, 2 — დამოუკიდებელი კანდიდატი. წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელები 238 მანდატს ფლობდნენ, დემოკრატები კი — 197-ს.**

## პირველი მუსლიმი ქალები ამერიკის კონგრესში

**აშშ-ის ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ისტორიაში პირველად, შუალედურ არჩევნებში, ორი მუსლიმი ქალი — რაშიდა თლაიბი და ილჰან ომარი აირჩიეს.**

რაშიდა თლაიბი წარმომადგენელთა პალატაში მიჩიგანის მანდატის მოპოვებისთვის იბრძოდა. არჩევნების დასრულების შემდეგ, ის კონგრესში დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს.



რაშიდა თლაიბი წარმოშობით პალესტინელია. მისი ოჯახი პალესტინიდან აშშ-ში საცხოვრებლად რაშიდას დაბადებამდე გადასახლდა.

ილჰან ომარი დემოკრატების კანდიდატი იყო მინესოტიდან წარმომადგენელთა პალატაში. ის წარმოშობით სომალიდანაა.

კონგრესის შუალედურ არჩევნებში უპრეცედენტო რაოდენობის ქალი კანდიდატი იღებდა მონაწილეობას. 277 ქალი კანდიდატიდან, რომლებიც წარმომადგენელთა პალატისა და სენატის მანდატის მოპოვებისა და გუბერნატორობისთვის იბრძოდნენ, ამ დროისთვის 61-მა მათგანმა გაიმარჯვა.

## ამერიკის ისტორიაში პირველად გეი გუბერნატორი აირჩიეს

**კოლორადოს შტატის გუბერნატორის არჩევნებში დემოკრატი ჯარედ პოლისი აირჩიეს. ის ამერიკის ისტორიაში პირველი ღიად გეი კანდიდატია, რომელმაც ამ თანამდებობის მოპოვება შეძლო. ინფორმაციას რადიო „ამერიკის ხმა" ავრცელებს.**

ჯარედ პოლისი 2009 წლიდან წარმომადგენელთა პალატის წევრია. ის აქტიურად უჭერს მხარს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას და იარაღის შესახებ კანონის გამკაცრებას. ახლადარჩეული გუბერნატორი პროგრესული პოლიტიკოსის იმიჯით სარგებლობს და მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის გაუქმებას, რეკრეაციული მარიხუანის ლეგალიზებას და ა.შ.



## ევროკავშირის აეროპორტებში სიცრუის დეტექტორების დამონტაჟება დაიწყეს

**ევროკავშირი აეროპორტების საკონტროლო-გამშვებ პუნქტებში ინტელექტუალურ სისტემების დამონტაჟებას გეგმავს, რომლის საშუალებითაც უცხოელებს სიცრუის დეტექტორზე შეამოწმებენ. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას The Travel-ი ავრცელებს.**




ევროკავშირის ქვეყანაში შემსვლელთა ნაკადი ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით გაკონტროლდება, რომელიც დაადგენს ადამიანი სიმართლეს ლაპარაკობს თუ სიცრუეს.

პროექტი სახელწოდებით iBorderCtrl-ი უკვე სატესტო რეჟიმში მუშაობს უნგრეთის, ლატვიისა და საბერძნეთის აეროპორტებში. ექსპერიმენტი 6 თვის განმავლობაში გასტანს და სწორედ მის შედეგებზე იქნება დამოკიდებული, გაფართოვდება თუ არა „ტყუილის დეტექტორის" დაფარვის ზონა.

სისტემა წარმოადგენს კამერით აღჭურვილს რობოტს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ადამიანის სახის 40 მიკრო გამოსახულება შეისწავლოს და გააანალიზოს, მათ შორის ქუთუთოების მცირედი მოძრაობაც კი. შემოწმებისას რობოტი მოგზაურობასთან დაკავშირებით დასვამს რამდენიმე კითხვას და მგზავრის რეაქციას დააკვირდება. ვირტუალურ მესაზღვრეს აქვს ონლაინ აპლიკაცია, რომელიც იწერს სავიზო და საპასპორტო მონაცემებს. თითო რობოტზე თითო ადამიანი იქნება მიმაგრებული და თუ კი რობოტს რაიმე ეჭვი „გაუჩნდება", მაშინ ის შემდეგი კვლევის მიზნით პროცესში ჩაერთვება.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გურანდა სერგიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გურანდა სერგია (პ/ნ 39001036148), სენაკი, სოფელი ხორში.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. №37 (ყოფ. 29), სართული 4, ბინა 9 (საკადასტრო კოდი: 44.01.04.111.01.009 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23284.20 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP56483018;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 564830

6. **მოვალე:** გურანდა სერგია (პ/ნ 39001036148), სენაკი, სოფელი ხორში.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP56483018; ლოტის ნომერი: 564830).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თემურ გუგეშაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თემურ გუგეშაშვილი (პ/ნ 62003005883), რუსთავი, მე-11 მ/რ, კორპუსი 1, ბინა №28.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

რუსთავი, მე-11 მ/რ №4, სართული 4, ბინა №28 (საკადასტრო კოდი: 02.02.04.181.01.028https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21678.33 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP56490018;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 564900

6. **მოვალე:** თემურ გუგეშაშვილი (პ/ნ 62003005883), რუსთავი, მე-11 მ/რ, კორპუსი 1, ბინა №28;
ნოდარ გუგეშაშვილი (პ/ნ 62003014663), რუსთავი, მე-11 მ/რ, კორპუსი 1, ბინა №28.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP56490018; ლოტის ნომერი: 564900).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# რას გვაჭმევენ, რაზე ვთქვათ უარი?..

**დიდი ხანია, ყველამ კარგად ვიცით, რომ სამომხმარებლო ბაზარზე – როგორც ახალმოდურად „მარკეტებად“ და „სუპერმარკეტებად“ წოდებულ უწინდელ „გასტრონომებში“, ასევე სასურსათო ბაზრობებსა თუ ქუჩის სახელდახელო დახლებზე, აუარება არანატურალური, ფალსიფიცირებული სურსათი იყიდება. ხარისხსა და ელემენტარულ გემოს თავი დავანებოთ, ასეთი საკვები ხშირად ჯანმრთელობისთვის მეტად სახიფათოცაა. ამდენად, ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება, თუკი მომხმარებლებს მეტ-ნაკლებად სრულად ეცოდინებათ, თუ როგორ აყალბებენ სხვადასხვა სახეობის სურსათს და, ასე ვთქვათ, „საველე პირობებში“ როგორ შეიძლება ფალსიფიცირებული ნაწარმის გამოცნობა, რამაც, შესაძლოა, ბევრ ხიფათს აგარიდოს.**



## რძის ნაწარმი

**როგორ აყალბებენ:** ყველაზე ხშირად აყალბებენ ცხიმის მაღალი შემცველობის საქონელს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული დარღვევაა რძის ცხიმის მცენარეულით (მაგ. პალმის, ქოქოსის და ა.შ.) შეცვლა: ხშირად სპრედს ნაღების კარაქად ასაღებენ. ასევე მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როცა სურსათში ცხიმი შეფუთვაზე მითითებულზე ნაკლებია, თუმცა კი ამ დროს ფალსიფიკაციას ადგილი არა აქვს.

ზოგჯერ ნატურალურის მაგივრად მშრალ რძეს იყენებენ, არაჟანსა და ხაჭოს კი, მეტი სისქისთვის, სახამებელს, უკვე გაფუჭების პირას მისულ გლეხურ რძეს კი სოდას უმატებენ.



**რა ხიფათს შეიცავს ასეთი სურსათი?** ერთი ის, რომ ნატურალურზე ძვირი გვიჯდება. გარდა ამისა,ჯანმრთელობისთვის ხიფათის შემცველია: თუკი რძეს ანტიბიოტიკებთან ერთად საკმაოდ ხშირად მოვიხმართ, ორგანიზმი მათ მიეჩვევა და, საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობა უშედეგო იქნება. მცენარეულ ცხიმეზე არასწორად მომზადებული სურსათი, რომელიც რძის მაგივრად ასეთივე ცხიმს იყენებენ, ტრანსცხიმებსაც შეიცავს, ის კი დამღუპველად მოქმედებს გულსა და სისხლძარღვებზე.

**როგორ დავადგინოთ სურსათის სიყალბე?**

– თუკი შეფუთვაზე მითითებულია „რძის შემცველი პროდუქტი“, მაშასადამე მის შემადგენლობაშია პალმის ზეთი; რაც უფრო იაფიანია სურსათი, მით უფრო მაღალია გაყალბების ალბათობა; თუკი ნამდვილ რძეს წყლიან ჭიქაში ჩაასხამთ, იგი ფენებად დაშლას დაიწყებს, გაყალბებული კი სითხეში უმალვე აირევა; იმისათვის, რომ გაიგოთ, შეიცავს თუ არა ყველი პალმის ზეთს, ორიოდე საათით ის ოთახის ტემპერატურაზე დატოვეთ. ნატურალური ყველის ნაჭერი გახმება, გაყალბებულისა ან დასკდება, ანდა მასზე ცხიმის კვალი დარჩება; ნაღების კარაქი კი გააცხელეთ: ნამდვილი ცელსიუსის 38 გრადუსზე მთლიანად დადნება, ხოლო თუკი ფორმას შეინარჩუნებს, მაშასადამე ფალსიფიცირებულია.

## თევზი და ზღვის პროდუქტები

**ყველაზე ძვირიან სურსათს – ხიზილალას, ყოველგვარი თევზის გარეშე წყალმცენარეებისგან, ჟელატინისა და არომატიზატორებისგან ამზადებენ**. იმიტაციის ეს ხერხი ყალბისმქმნელებს უზარმაზარ შემოსავალს აძლევთ. ნატურალურ ხიზილალას ისინი ხშირად... გაფუჭებულისგანაც აკეთებენ(!) – არალიკვიდურ პროდუქციას ზედა ფენას აცლიან, დანარჩენს ურევენ, კონსერვანტებსა და ცხიმს უმატებენ, შემდეგ კი სურსათს „ახლად“ ასაღებენ. ამ ტექნოლოგიას ფართოდ იყენებენ ხიზილალის წონით გამყიდველები.

ასევე აყალბებენ თევზეულსაც, უფრო სწორად კი ერთ სახეობას (უფრო იაფიანს) მეორედ (ცხადია, უფრო ძვირიანად) ასაღებენ.

გარდა ამისა, დიდად პოპულარულია თევზის კონსერვების გაყალბებაც. უფრო ხშირად თაღლითები ზუთხისებრთა კონსერვების ფალსიფიცირებას მიმართავენ, ვინაიდან მათი სხვადასხვა ჯიში ფასით განსხვავებულია (ხშირად, საკმაოდაც), ხოლო იმის დადგენას, თუ ქილაში კონკრეტულად რომელი თევზია ჩადებული თავის, კუდისა და ფარფლების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ზოგჯერ ასეთ მანიპულაციას საირასთანაც მიმართავენ, რომელსაც სარფინელათი ან ქაშაყით ცვლიან, რომლებიც უფრო იაფი ღირს.



**რა ხიფათს შეიცავს ასეთი სურსათი?**

გაფუჭებული თევზით ან ხიზილალით შეიძლება მოიწამლოთ.

**როგორ უნდა აარიდოთ თავი გაყალბებული თევზეულის შეძენას?**

უმჯობესია, იყიდოთ მთლიანი თევზი და არა ფილე ან სტეიკი – ასე თავად შეგიძლიათ, დარწმუნდეთ, თუ რას ყიდულობთ; რაც შეეხება ხიზილალას, აქ ყურადღება უნდა მიაქციოთ ეგრეთ წოდებული „ჯუხის“ ანუ „ხიზილალას წვნიანის“ ოდენობას, რომელშიც ხიზილალა დაცურავს. ეს სითხე ბევრი არ უნდა იყოს; ამასთან, უმჯობესია ხიზილალა ქილებში შეარჩიოთ, რომლებიც მისი მოპოვების ადგილებშია დახუფული და არა ზღვიდან ათასობით კილომეტრის მოშორებით.

## ხორცის ნაწარმი

**როგორ აყალბებენ?** ძეხვის ფალსიფიცირების ყველაზე პოპულარული ხერხია ერთი სახეობის ხორცის მეორეთი, ცხადია, უფრო იაფიანით შეცვლაა – მაგალითად, საქონლის ხორცის მაგივრად მწარმოებელი ქათმის ხორცს იყენებს. გარდა ამისა, ეტიკეტებზე მწარმოებლები ხშირად წერენ ტერმინს „ცხოველური ცხიმი“ და უხვად უმატებენ ფარშს, ძეხვს, სოსისსა და ხრტილებს, ფრინველის კანს. გარდა ამისა, სოსისში ცხოველური ცილის მაგივრად შეიძლება შეურიონ სოიო, ამიტომ კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებით პრობლემების მქონე ხალხი უმჯობესია, მის ჭამას მოერიდოს. მწარმოებლები ხორცის მასასთანაც „ეშმაკობენ“ – მის მოცულობას შპრიცებით წყლის შეშვებით და ტენშემაკავებელი აგენტების დამატებით ზრდიან. ამის გაგება კი მომხმარებელს მხოლოდ კერძის გაკეთების დროს შეუძლია – როცა ხორცი წონაში 40 პროცენტამდე იკლებს.



**რა ხიფათს შეიცავს ასეთი სურსათი?** თქვენ ერთი გგონიათ და სულ სხვა რამეს მიირთმევთ: ასეთი გაყალბებული ხორცის ნაწარმი შეიცავს ცხიმიან, მაგრამ ყოვლად უსარგებლო ფრინველის კანს, ასევე პოტენციურად სახიფათო სოიოს, კიდევ სხვადასხვა ქიმიურ კომპონენტებს, რაზეც ორგანიზმს შესაძლოა, ალერგიული რეაქცია ჰქონდეს.

**როგორ გავარჩიოთ ფალსიფიცირებული სურსათი?** ყურადღებით წაიკითხეთ მისი სახელწოდება და შემადგენლობა: მაგალითად, თუ ძეხვს აწერია „საექიმო სოფლურად“, ეს იმის ნიშანია, რომ ის არაკლასიკური ტექნოლოგიითაა დამზადებული. დააკვირდით ძეხვის ელფერს: ის არ შეიძლება იყოს ხასხასა – ვარდისფერი ან წითელი, თუკი მასში მღებავები არ ურევია. დამუშავების შემდეგ ხორცპროდუქტი რუხი უნდა იყოს, უმჯობესია, ხასხასა ან ზედმეტად ლამაზი ძეხვი არ შეიძინოთ; ნატურალური ძეხვის რეცეპტი მარტივია: ღორისა და საქონლის ხორცი, წყალი, მარილი და სანელებლები. ზოგიერთი ძეხვეულისთვის ქათმის ხორცსა და კვერცხს იყენებენ. ამიტომ უმჯობესია, ძეხვის შემადგენლობა წაიკითხოთ: რაც უფრო მოკლეა ჩამონათვალი, მით უკეთესი; გაჭრისას ხორცის ნაჭერი არ უნდა გამოყოფდეს სითხესა და სისხლს. თუკი ეს ასეა, მაშასადამე, იგი საგანგებოდ წყლითაა დატუმბული.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

## კონტაქტები უცხოპლანეტელებთან

**უცნაური შემთხვევა მოხდა 1993 წლის 15 ივნისს იტალიის ქალაქ პესკარას მახლობლად, სადაც მეხანძრეთა ვერტმფრენი სწავლებაზე მიემართებოდა.**

**მოულოდნელად ცაში მფრინავი ობიექტი – დაახლოებით 130 სანტიმეტრის სიმაღლის ადამიანისმაგვარი არსება გამოჩნდა და ვერტმფრენს მიუახლოვდა. მას სკაფანდრის მსგავსი რაღაც ეცვა, თავზე დაახლოებით 50 სანტიმეტრის მრგვალი სლემი ეხურა. არსებას, ყვითელი ფერის თითქოს წაკვეთილი ქვედა კიდურებით, დიდი ოვალური ფორმის თვალები ჰქონდა. რამდენიმე წამში კი უცნაური არსება – ჰაერის ნაკადის საწინააღმდეგო მიმართულებით – ვერტმფრენს ბგერის სიჩქარით გაერიდა.**

* * *

**2012 წლის აგვისტოში ინდოეთის შტატ უტარ-პრადეშში, უცხოპლანეტელები ფეხბურთის ბურთისხელა უცნაურ მანათობელ სფეროში გამოჩნდნენ, რომლებიც ადამიანებს თავს ესხმოდნენ! ხალხმა მათ მაშინვე „მუქნოშვები“ უწოდა, რაც ჰინდის ენაზე „ბრჭყალებიან ურჩხულს“ ნიშნავს. საქმე ისაა, რომ სფეროები ადამიანთა სახეებზე სერიოზულ იარებს ტოვებდნენ, შეშინებულმა მოსახლეობამ სახალხო პატრულები შექმნა – ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თავს ესხმიან მტრულად განწყობილი უცხოპლანეტელები.**



ძალოსნობა

# პირველი ჯილდო



**თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გრძელდება ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. უკვე სამმა მათგანმა მოსინჯა ძალები. განსაკუთრებით 20 წლის რევაზ დავითაძე გამოირჩა, რომელმაც ახალ — 89 კილოში ექვსიდან ოთხი ცდა გამოიყენა. მესამე მისვლისას მან 168 კილოგრამი აიტაცა და მეოთხე ადგილზე გავიდა. მსგავსი წონა დაძლია კოლუმბიელმა ესნეიდერ მორენო ტორესმა, რომელსაც ბრინჯაო ერგო, რადგან პირველი მოერია ამ წონას. 169-169 კილოგრამით პირველი-მეორე ადგილები, შესაბამისად, არლეი ანდრეს პერესმა (ჩილე) და პაველ ხადასევიჩმა (ბელარუსი) გაინაწილეს.**

ჩვენებურმა აკვრაშიც ორი ცდა გამოიყენა და ბოლო მისვლისას 203 კილოგრამით მე-5 ადგილზე გავიდა. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, შესაბამისად, რუსმა არტიომ ოკულევმა (206 კგ), სომეხმა ჰაკობ მკრტიჩიანმა (205) და ვენესუელელმა ჯოვანი სანჩესმა (204) დაისაკუთრეს. სამაგიეროდ, დავითაძემ სეზონი ორჭიდში ბრინჯაოს მედლით დაასრულა. როგორც ხადასევიჩმა, მანაც 371 კილოს მოუყარა თავი, მაგრამ აქ ბელარუსმა დაასწრო წონის დაფიქსირება. საგულისხმოა ისიც, რომ რევაზმა ატაცსა და ორჭიდში ახალგაზრდების მსოფლიოს რეკორდები დაამყარა.

**69 კგ.** 1. არტიომ ოკულევი (რუსეთი) — 372 (166+206), 2. პაველ ხადასევიჩი (ბელარუსი) — 371 (169+202), 3. რევაზ დავითაძე (საქართველო) — 371 (168+203).

რევაზ დავითაძისთვის აშხაბადში მოპოვებული ჯილდო წლევანდელი სეზონის დაგვირგვინება იყო: გაზაფხულზე მან ბუქარესტში უფროსებს შორის (85 კგ) ევროპის ჩემპიონატზე 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა, მერე ტაშკენტში 20-წლამდელ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზეც 2 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ერთი თვის წინათ კი პოლონეთის ქალაქ ზამოსცში გამართულ 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ისევ ორი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“ მოინაგრა.

თურქმენულ ფიცარნაგზე ქართველთაგან კიდევ სამი ათლეტი იასპარეზებს. მათი გამოსვლის განრიგი ასეთია: **8 ნოემბერი** (18:55). ირაკლი ჩხეიძე (102 კგ) **10 ნოემბერი** (16:25). ირაკლი თურმანიძე და ლაშა ტალახაძე (ორივე — +109 კგ).

**ლექსო ცინცაძე**

ლეგიონერი

# არის მეხუთე!

**ესპანურმა „იბეროსტარ ტენერიფემ“, რომლის ღირსებასაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი თად მაკფადენი იცავს, ჩემპონთა ლიგაში მიჯრით მე-5 გამარჯვება იზეიმა და B ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერად რჩება.**

სანტაკრუზელები ისრაელის წარმომადგენელ „უნეტ ჰოლონს“ დაუხვდნენ და დიდი ანგარიშით — 84:52 სძლიეს, მაკფადენი კი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 21 წუთში 8 ქულა, 1 მოხსნა დ 2 პასი მიითვალა.

თადმა 2-დან 1 ორქულიანი და 8-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, მისი მოედანზე ყოფნის პერიოდში კი მასპინძლებმა სტუმრებზე 32 ქულით მეტი ჩააგდეს, რაც საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

„იბეროსტარ ტენერიფე“ მომდევნო მატჩს 14 ნოემბერს ჩაატარებს, როდესაც ჩეხეთში ჯგუფში ბოლო ადგილზე მყოფ „ოპავას“ გაეჯიბრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ავტორბოლა

# სეზონის ფინიშზე

**დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლებში. რუსთავის საერთაშორისო მოტოპარკმა ჩემპიონატის ბოლო, მე-6 ეტაპს უმასპინძლა, რომლის ბოლო სამი რბოლაც ამ დღეებში გაიმართა. ლეჯენდსის კლასში ჩემპიონი არჩილ ბიძინაშვილი გახდა, რომელმაც ბოლო რბოლაც დაძაბულ რბოლაში მოიგო, ფორმულა „ალფას“ კლასში კი ყველას სანდრო თავართქილაძემ აჯობა, ვინც სეზონის ბოლო რბოლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.**

ბოლო ეტაპის მეორე დღეს ხუთი რბოლა გაიმართა — პირველი დღის პროგრამას, რომელშიც ფორმულა „ალფას“, ლეჯენდსის და ტურინგის რბოლები შედიოდა, ამჯერად ვეტერანთა ორი რბოლაც დაემატა, რომელთაგან ერთში, ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკების წარმომადგენელთა გარდა, მონაწილეობა ცნობილმა ბულგარელმა მრბოლმა სტოიან აპოსტოლოვმაც მიიღო.

გახსნის ცერემონიის შემდეგ სტარტზე პირველები ლეჯენდსის რბოლის მონაწილეები დადგნენ. თუ პირველ ცდაზე გამარჯვებისთვის ძირითადად სამმა პილოტმა იბრძოლა, ამჯერად მოწინავეთა რიგებს გიორგი ბეჟიტაშვილი და ჯანკატ ჰურმოგლუც დაემატნენ. მართალია, მათ დაწინაურების შესაძლებლობა არ მიეცათ, თუმცა, რბოლის ბოლო ნაწილში მოწინავე სამეულს კვალში ედგნენ.

თავიდან ჰარალდ შლეგელმილხი დაწინაურდა, შოთა აფხაზავა და ბიძინაშვილი კი მეორე ადგილისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს. შემდეგ ბიძინაშვილმა იმარჯვა და ზედიზედ ორივე მეტოქე ჩამოიტოვა, ოღონდ ლიდერის პოზიციაში დიდხანს არ ყოფილა. აფხაზავამ ჯერ ლატვიელს გაასწრო, შემდეგ კი პელოტონს სათავეში მოექცა. არც მისი ლიდერობა გაგრძელებულა დიდხანს. მას ჯერ ბიძინაშვილმა გაუარა, შემდეგ კი შლეგელმილხმა, რომელიც მალე დაწინაურდა კიდეც. მოკლედ, მთელი რბოლის განმავლობაში ლიდერი რამდენჯერმე შეიცვალა, საბოლოოდ კი ბიძინაშვილმა იმარჯვა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. შლეგელმილხი მას სულ რაღაც 0.027 წამით ჩამორჩა.

ამ გამარჯვებით ბიძინაშვილმა საქართველოს ჩემპიონის წოდებაც გაინაღდა.

ფორმულა „ალფას“ რბოლის უკანა რიგებიდან დაწყებამ მოუწია პირველი რბოლის გამარჯვებულ თავართქილაძეს, თუმცა, პირველივე წრეზე შეძლო დაწინაურება და, აქედან მოყოლებული, ახლოს არავინ გაიკარა.

მეორე ადგილისთვის კი საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა „ესტონია 21-ით“ მოასპარეზე ანდრეი ოლეინიკოვს, შლეგელმილხს, არტემ კაბაკოვსა და დავით რამიშვილს შორის. საბოლოოდ ლატვიელმა მეორე ადგილის დაკავება შეძლო, კაბაკოვს არ გაუმართლა, რამიშვილმა კი ოლეინიკოვი ჩამოიტოვა და მესამე ადგილი დაისაკუთრა. ჩემპიონის წოდება თავართქილაძემ მოიპოვა.



დაახლოებით მსგავსი სცენარი ვიხილეთ ტურინგის რბოლაშიც, რომელიც შოთა აფხაზავამ, ვინც ლეჯენდსის მიერ მოდიფიცირებული ავტომობილით ასპარეზობდა, ბოლო პოზიციიდან დაიწყო და სწრაფად შეძლო პელოტონის სათავეში გადანაცვლება, ოღონდ, მხოლოდ ერთ მეტოქეს ვერ გადაასწრო. ეს ერთი დათა ქაჯაია იყო, რომელმაც ამჯერად ადვილად მოახერხა სარბოლო „ფოლკსვაგენ პოლოთი“ მოასპარეზე ვლადიმირ ჩერევანის ჩამოტოვება და ბოლომდე არავისთვის მიუცია დაწევის შანსი. ჩერევანს აფხაზავამაც სწრაფადვე გაუარა და მეორე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება ვეტერანთა რბოლებს, ისინიც არანაკლებ საინტერესო გამოდგა. პირველ რბოლაში სტარტიდან ლიდერობას ოთარ არჯევანიძე დაეუფლა და ბოლომდე პირველობდა კიდეც, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე ათეული მეტრით ადრე დააგდო სიჩქარე და ამით ოლეკსიი ვარავინს გასწრების საშუალება მისცა. მესამე ადგილი სტოიან აპოსტოლოვმა დაიკავა.

მეორე რბოლის პირველივე მოსახვევში ავარია მოუვიდათ ბელარუს სერგეი ბელკოს და სომეხ არსენ სარქისოვს, რომელთა მანქანებიც საევაკუაციო შეიქნა,. განახლებულ რბოლაში კი დაძაბული პაექრობა გამართეს რუსმა ალექსანდრ პოტეხინმა და ჯემალ გულარდაშვილმა. თავიდან ქართველი დაწინაურდა, მაგრამ შუა რბოლისას მეტოქემ, ვინც სოლიდური ასაკის მიუხედავად, ახლაც პერიოდულად მონაწილეობს ხოლმე რბოლებში, შეძლო დაწინაურება და გამარჯვებაც მოიპოვა.

**კობა კობახიძე**

ჩემპიონთა ლიგა

# საშემოდგომო „პოხონდრიები“

**„ბარსელონა“ პირველია, ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში თამაშის უფლება ვადამდე რომ გაინაღდა. ახალგამოჯანმრთელებული მესის გარეშე კატალონიელებმა მილანში ფრედ — 1:1 დაასრულეს ჯგუფური რაუნდის მეორე წრის სასტარტო მატჩი წლეულს საკმაოდ მოღონიერებულ „ინტერთან“, რაც საკმარისი აღმოჩნდა მერვედფინალის საგზურის მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ სტუმართაგან ბურთი ბრაზილიელმა დებიუტანტმა მალკომმა გაიტანა, რომელც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ძირითად შემადგენლობაში უადგილობის გამო და გუნდიდან წასვლით იმუქრებოდა.**

მოულოდნელად გაირთულა მომდევნო ეტაპზე გასვლის საქმე „ლივერპულმა“, რომელიც იურგენ კლოპის ექსპერიმენტებს შეიძლება ემსხვერპლოს. რასაკვირველია, მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვის გამოუცხადებს ნდობას, მაგრამ ბელგრადში რომ ყველას უჭირს „ცრვენა ზვეზდასთან“ სასურველი შედეგის მიღწევა, გერმანელ სპეციალისტს კარგად უნდა მოეხსენებოდეს. სერბეთში მის შეგირდთა სენსაციური მარცხი — 0:2 ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ მომქანცველი სეზონის პრიორიტეტად მერსისაიდელთა შტაბს პრემიერლიგაში გამარჯვება მიაჩნია და არა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მოგება.

კიდევ უფრო დიდი გაწბილება ელოდათ „მონაკოს“ გულშემატკივრებს, რომელიც შინ „ბრიუგესთან“ შერცხვა 0:4. მართალია, მონტე-კარლოელთა თავკაცად ლეგენდარული ტიერი ანრის დანიშვნას სამთავროში გადაჭარბებული ოპტიმიზმი მოჰყვა, მაგრამ, ეტყობა, უახლოეს წარსულში ამბიციური კლუბის ფეხზე წამოსაყენებლად გაცილებით უფრო რადიკალური ნაბიჯებია გადასადგმელი.

დანარჩენი შედეგები: „ატლეტიკო“ — „დორტმუნდი“ 2:0, „ნაპოლი“ — „პსჟ“ 1:1, „ტოტენჰემი“ — „პსვ“ 2:1, „შალკე“ — „გალათასარაი“ 2:0, „პორტუ“ — „ლოკომოტივი“ 4:1.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ვანდა ნარას სურვილი



**მილანის „ინტერის“ თავდამსხმელ მაურო იკარდის მეუღლე ვანდა ნარას უნდა, რომ კრიშტიანუ რონალდუ სათადარიგოთა სკამზე იხილოს.**

„მაუროს სამ შეხვედრაში არ უთამაშია და რონალდუსთან მაინც ახლოსაა — 6 გოლი აქვს გატანილი. მინდა, რონალდუ სათადარიგოთა სკამზე ვნახო, როგორც მაურო იყო „ჯენოასთან“ შეხვედრაში და მისმა გუნდმა 5 გოლი გაიტანოს“, — აღნიშნა ვანდამ.

შეგახსენებთ, რომ შაბათს „ინტერმა“ „ჯენოა“ 5:0 დაამარცხა, ხოლო იკარდის ამჯერად არ უთამაშია. არგენტინელს მიმდინარე სეზონში 6 გოლი აქვს გატანილი, ხოლო რონალდუმ თავი 7-ჯერ გამოიჩინა.

**მანუჩარ გიორგაძე**

# დედაქალაქში ქუჩის მუსიკის ფესტივალი და ღამის ეკონომიკის პირველი საერთაშორისო ფორუმი გაიმართება

**დედაქალაქში ქუჩის მუსიკის ფესტივალი გაიმართება, რომლის ფარგლებშიც, ქართველი მსმენელის წინაშე 150-მდე მუსიკოსი წარსდგება, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გვაუწყა.**

მისი თქმით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, ასევე, თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის მხარდაჭერით, ქართველი მუსიკოსები 10 ნოემბერს, აღმაშენებლის გამზირზე, პუშკინის სკვერსა და დედაენის ბაღში დაუკრავენ.

**„ქუჩის მუსიკის ფესტივალის ფარგლებში, მუსიკოსები თბილისის სხვადასხვა ქუჩაზე, 15:00-დან 22:00 საათამდე, ერთდროულად დაუკრავენ და საზოგადოებას საკუთარ შემოქმედებას გააცნობენ. ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელთაც საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება უნდა მივცეთ. ამ მიმართულებით, თბილისის მერიის მხარდაჭერა და თანადგომა მნიშვნელოვანია“,** — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

**„პარალელურად, კლუბები, საკონცერტო დარბაზები და რესტორნები ფორუმის დღეებში ერთვებიან. აღნიშნული ღონისძიება ჩვენს დედაქალაქში 30 ნოემბრიდან პირველი დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება. გვინდა, რომ საუკეთესო ქვეყნების მაგალითები გადმოვიტანოთ და დარწმუნებული ვარ, რომ ღამის ეკონომიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ბევრ საინტერესო პროექტს განვახორციელებთ“,** — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.



# „თბილისობა“ სტრასბურგში

სტრასბურგში, ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ორგანიზებით, ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ღონისძიება — „თბილისობა“ გაიმართა.



ღონისძიების ფარგლებში მოეწყო „თბილისობის“ თემაზე საკვირაო სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა და გაიმართა ტრადიციული ქართული კერძების დეგუსტაცია. ასევე სტრასბურგის წმინდა ქეთევან წამებულის ეკლესიის გუნდმა „სადარისმა“ ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა.

საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლმა ირაკლი გივიაშვილმა, საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა, ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

## სანთელი

მეუღლე ჟოზეფინა ახვლედიანი, შვილები ზეინაბ, პაატა კლდიაშვილები, რძალი ქეთი კაჭარავა, სიძე ზურაბ ფავლენიშვილი, შვილიშვილები გუგა, კოკა, გიორგი კლდიაშვილები, ზურა, ლევან, სანდრო ფავლენიშვილები, ძმისშვილები თამუნა, შოთა კლდიაშვილები, რძლები ციალა, ზაირა, ნინო ხვთისიაშვილი, ცოლისძმა მურად ახვლედიანი ოჯახით იუწყებიან

**გურამ კლდიაშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 8, 9 XI, მოსაშვილის ქ. №1, IV სადარბაზო, V სართული, დაკრძალვა 10 XI, 14 საათზე სამების ეკლესიიდან (ვაკე).

# ტრაგედია ვარკეთილში

**ვარკეთილში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, წინასწარი მონაცემებით, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად, 9 წლის გოგო გარდაიცვალა, მშობლები კი, ძლიერი ინტოქსიკაციით, საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. ისინი რეანიმაციულ განყოფილებაში არიან მოთავსებული.**





კლინიკის ექიმის გიგა შუბითიძის განმარტებით, პაციენტები სასწრაფო დახმარების ჯგუფმა მათთან უგონო მდგომარეობაში შეიყვანა.

**„ქალი და მამაკაცი ნახშირჟანგის მძიმე ინტოქსიკაციით უგონო მდგომარეობაში შემოიყვანეს. როგორც სასწრაფოს ექიმმა აღნიშნა, რამდენიმე საათის განმავლობაში ისინი ბინაში უგონოდ იმყოფებოდნენ. ამ ეტაპზე ისინი მართვით სუნთქვაზე არ იმყოფებიან, თუმცა არ არიან კონტაქტურები. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მათ შესაბამისი მკურნალობა სჭირდებათ“,** — განაცხადა გიგა შუბითიძემ. არსებული ინფორმაციით, ბინაში, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, ღიაკამერიანი გამათბობელი იყო დამონტაჟებული, რომელიც აკრძალულია.

# ხანძარი თბილისში

**თბილისში, ნავთლუღის ქუჩაზე, გაჩენილ ხანძარს 66 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აცხადებენ, მეხანძრე-მაშველებმა 5 ადამიანი, მათ შორის, 3 მცირეწლოვანი ბავშვი შენობიდან უვნებლად გამოიყვანეს.**



ცეცხლი სამსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე გაჩნდა. დაიწვა 60 კვ. მ. საცხოვრებელი ფართი. ადგილზე მობილიზებული იყო 7 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი.

# საზეიმოდ გახსნილ „თეთრ ხიდზე“ ხარვეზები იპოვეს!

**ქუთაისის ისტორიულ ნაწილში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ახლახან რეკონსტრუირებული „თეთრი ხიდის“ ხარვეზებმა მისი ოფიციალური გახსნიდან ორ დღეში იჩინა თავი. გამვლელები ბოლომდე მიუყვანელი სამუშაოების შედეგებს ამჩნევენ, მათ შორის ხიდის საფეხმავლო თუნუქის საფარზე.**

ქუთაისის მერიამ 3 ნოემბერს საზეიმოდ გახსნილ „თეთრ ხიდზე“ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება უკვე დაავალა სამუშაოების შემსრულებელ კომპანიას, „ალმა-რუს საქართველოს“. როგორც ქუთაისის მერიაში ამბობენ, ხიდი გაიხსნა, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტი ჯერ არ გაფორმებულა და კომპანიისთვის ჯერ არ გადაუხდიათ დარჩენილი 170 ათასი ლარი.

შეკითხვაზე, რატომ გაიხსნა ხიდი სამუშაოების საბოლოოდ დასრულებამდე და ჩაბარებამდე, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვიპასუხეს, რომ კომპანიამ არსებითი სამუშაოები უკვე დაასრულა და დარჩენილია ხარვეზების გამოსწორება, რაც ზედაპირის კოსმეტიკურ სამუშაოებს მოიცავს. ქუთაისის მერიის ოფიციალური განცხადებით, ხარვეზებზე კომპანიას მიუთითეს სამსახურებმა, რომლებიც პროექტს ზედამხედველობას უწევენ. მერიის ინფორმაციით, დარჩენილ თანხას კომპანია მიიღებს სამუშაოს სრულყოფილად დასრულების შემდეგ და შესაბამისი ჯარიმის გამოქვითვით. კომპანია „ალმა-რუს საქართველოს“ „თეთრი ხიდის“ რეკონსტრუქცია 22 აგვისტოს უნდა დაესრულებინა, თუმცა ვადა ორჯერ გაუხანგრძლივდა. ქუთაისის მერიის ინფორმაციით, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე კომპანიას 240 ლარის ჯარიმა ერიცხება. მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის ბექა ყურაშვილის განცხადებით, ხიდზე გადაადგილება საფრთხისშემცველი არ არის მიუხედავად იმისა, რომ საფეხმავლო ნაწილზე თუნუქის რამდენიმე ფილა დაუმაგრებელია. ყურაშვილის თქმით, საფეხმავლო ნაწილის დაზიანება გამოიწვია ხიდზე მოტოციკლეტებით და სკუტერებით გავლამ. ბექა ყურაშვილი მოსახლეობას მოუწოდებს გაითვალისწინონ, რომ „თეთრი ხიდი“ მხოლოდ საფეხმავლოა.



„თეთრი ხიდის“ რეკონსტრუქციის პროცესში მოსახლეობის აზრი არაერთგვაროვანი იყო. ხშირად ისმოდა კრიტიკა სამუშაოების ხარისხისა და ვადების დარღვევის გამო, თუმცა ხიდის ოფიციალურად გახსნისას ქუთაისის მერმა გიორგი ჭილვარიამ განაცხადა, რომ ხიდი ქუთაისელთა უმეტესობას მოსწონს.

რადიო „თავისუფლების“ მიერ გამოკითხული ქუთაისელების ნაწილი ამბობს, რომ „თეთრი ხიდის“ ამ ფორმით რეკონსტრუირება მოსწონთ, ნაწილის განცხადებით კი, ხიდის საბოლოო სახე წარმოდგენილი პროექტისგან განსხვავდება და უკეთეს შედეგს ელოდნენ.

„თეთრი ხიდის“ უსაფრთხოების შესახებ გამოთქმულ ეჭვს უსაფუძვლოდ მიიჩნევს ხიდის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის საექსპერტო დასკვნის ავტორი ჯონი ნასარია, რომელიც ხიდის ტექნიკურ მდგომარეობას დადებითად აფასებს. ჯონი ნასარიას მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნით, რეაბილიტაციის შედეგად „თეთრი ხიდის“ მზიდ კონსტრუქციებზე სტატიკური დატვირთვა მის კონსტრუქციულ მდგრადობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს. მისივე განცხადებით, წინა საუკუნეში „თეთრი ხიდი“ საავტომობილო გადაადგილების საშუალება იყო და, შესაბამისად, მისი კონსტრუქცია საავტომობილო დატვირთვაზეა გათვლილი. 80-იან წლებში ხიდზე დააგეს ასფალტი, რომლის წონა ბევრად აღემატება ამჟამინდელი საფარის წონას. ჯონი ნასარიას განცხადებით, ამჟამად ხიდი მხოლოდ საფეხმავლოა და დატვირთვა ბევრად ნაკლებია, ვიდრე იყო:

ქუთაისის ისტორიულ უბანში მდებარე „თეთრი ხიდი“, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პუშკინისა და გრიშაშვილის ქუჩებს, ავტომობილებისთვის 10 წლის წინათ დაიკეტა. „თეთრი ხიდი“ ქუთაისში მდინარე რიონზე მდებარე ხუთი ხიდიდან ერთ-ერთი უძველესია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აგებულ ხიდს „თეთრი“ მისი შეფერილობის გამო უწოდეს.

**„თავისუფლება“**

## მილოცვა

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 80 წლისთავს ამავე საზოგადოების წევრს, ქართველ მშენებელთა ძველი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელს, სოფლის მეურნეობის მშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთ გამორჩეულ სამშენებლო ტრესტის თავკაცს, შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ

**როლანდ იოსელიანს.**

## დედაქალაქში წინასაახალწლო სამზადისი დაიწყო

**„თბილსერვის ჯგუფმა“ დედაქალაქში წინასაახალწლო სამზადისი დაიწყო. პირველ ეტაპზე, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი დავით გურამიშვილის გამზირზე, კერძოდ, „კინო საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორიიდან მეტროსადგურ „სარაჯიშვილამდე“ განხორციელდა, სადაც 126 ერთეული საახალწლო სანათი მოწყობილობა დამონტაჟდა.**

სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, „თბილსერვის ჯგუფი“ საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების მონტაჟს ყოველწლიურად, ნოემბრის პირველ რიცხვებში თბილისის გარეუბნებიდან იწყებს და დეკემბრის შუა რიცხვებამდე ასრულებს.




## გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაში:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.


## „ქართულ-აფხაზური“ საღამო ბათუმში



**ბათუმის ხელოვნების ცენტრში „ქართულ-აფხაზური საღამო“ გაიმართა, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან ვახტანგ ყოლბაიასთან ერთად დაესწრო.**

თეატრალიზებული საღამო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს მიეძღვნა და მას აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები და ქართულ-აფხაზური ოჯახები ესწრებოდნენ. რეგიონის მთავრობის თავმჯდომარემ საღამოს სტუმრებს სიტყვით მიმართა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა. **„ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანია ის ურთიერთობები, რომელიც აფხაზებსა და ქართველებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბდა. აჭარაში 8 000 აფხაზი, მათ შორის 2000-მდე ქართულ-აფხაზური ოჯახი ცხოვრობს. მნიშვნელოვანია ყველა ის ღონისძიება, რომელიც სახელმწიფო თუ კერძო ინიციატივით ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურება“,** — აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

„ქართულ-აფხაზური საღამოს“ ფარგლებში წარმოდგენილი იყო აფხაზი და ქართველი მხატვრების ნამუშევრები და წიგნების გამოფენა. ღონისძიება ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალისა“ და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ორგანიზებით გაიმართა.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


## ვიცით, ვინც არის, რაც არის, თვალში გვაყარა ნაცარი!

მეორე ტურში პიარტექნოლოგიის გაძლიერებისთვის კაგებეს მაიორს 7 რუსი თანაპოლკელი ეხმარება!



მინდა, ვკითხო ვაშაძესა,
გაღმით სხვას რომ შარსა სდებსა,
რით აღჭურვა იდეურად
რუსეთუმე შვიდეულმა?
ასე რატომ გათავხედდა,
ნაცრის შეყრას რომ გვიბედავს,
როცა თვალწინ ნათლად
ვხედავთ
კრემლადაც და კაგებედაც?

**ალექსანდრე შენგელია,**
**ქუთაისის საპატიო მოქალაქე.**

## სარეკლამო შემოსავლები მესამე კვარტალში 13 პროცენტამდე გაიზარდა

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, 2018 წლის III კვარტალის სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები 2017 წლის III კვარტალთან შედარებით 12.7%-ით, 1,857,745 ლარით გაიზარდა.**

რაც შეეხება ორ ყველაზე დიდ მაუწყებელს, რომლებსაც ბაზრის 65% უკავიათ, 2018 წლის მესამე კვარტალში მათი სარეკლამო შემოსავლების ტენდენცია შეცვლილია. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის სარეკლამო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 9%-ითაა გაზრდილი, ხოლო ტელეკომპანია „იმედს“ 2018 წლის III კვარტალში 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 6%-იანი კლება აქვს.

კომისიამ მაუწყებლების შემოსავლების 2018 წლის III კვარტალის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც სხვა შემოსავლებთან ერთად რეკლამას, სპონსორობას, პროდუქტის განთავსებას, განცხადებებსა და ტელეშოფინგს მოიცავს.


## ყურადღება! ყურადღება!

**ძვირფასო ქართველო და საქართველოსთან დამეგობრებულო უცხოელო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.**

**ფასი შეთანხმებით!**



დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!


### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.75241; ევრო - 3.1386;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5864;
100 რუბლი - 4.1712; თურქული ლირა - 0.5137;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6238;
1000 სომხური დრამი - 5.6402.

### ამინდი 8 ნოემბრისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -4, | დღე +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +7, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე 0, | დღე +19 |
| თბილისი: | ღამე +7, | დღე +14 |


### დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge